საბა

№2(194)
თებერვალი
2012

საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე

დიდი მარხვა, ჟამი არსებითის საძიებლად



„ხალხი მზად არ არის...“

„ხალხი მზად არ არის...“ – დღეს ხშირად გაისმის ეს ფრაზა რომელიმე პოლიტიკური პარტიისა თუ ეკლესიის წარმომადგენელთა მხრიდან. ნუთუ მართლა არ არის ხალხი მზად, იმისათვის რომ მიიღოს გარკვეული არგუმენტები, ან იქნებ ამ ფრაზას თავიანთი სტატუს ქვოს გასამყარებლად იყენებენ? ზოგიერთი სახელმწიფოს მეთაური, რომლის ქვეყანაში გასული წლის ე.წ. „არაბული რევოლუციის“ კვალდაკვალ სხვადასხვა რევოლუციამ იფეთქა, გაბატონებულ რეჟიმს იმით ამართლებდა, რომ ხალხი მზად არ იყო დემოკრატიისთვის, ან რაიმე ცვლილების მისაღებად, ხოლო ოპოზიციის ლიდერები, თავის მხრივ, ამბობდნენ, რომ ხალხი, უბრალოდ, მზად არ იყო, თავი გაეწირა რევოლუციური იდეალებისთვის. საქართველოშიც მესმის ხოლმე მსგავსი ფრაზა, რომ „ჯერ-ჯერობით ხალხი არაა მზად“, მაგალითად, საეკლესიო კალენდრის (სინამდვილეში ხომ ეს კალენდარი იულიუს კეისრის დადგენილია!), ზოგადად, რელიგიური დღესასწაულების თარიღების შესაცვლელად; რომ ხალხი ჯერ კიდევ არ არის მზად, მიიღოს კანონი სხვა რელიგიების იურიდიული აღიარების შესახებ, იმ ქონების უკან დაბრუნებაზე, რაც სხვა რელიგიების წარმომადგენლებს და ეკლესიებს ეკუთვნოდა; მაგრამ რატომ არ არის მზად? ნამდვილად არ არის მზად? თუკი ხალხი მზად არაა, ალბათ, არა იმიტომ რომ მას ასე სურს, არამედ იმიტომ რომ ჯერ კიდევ ვერ გაუგია ბოლომდე, თუ რა ხდება, ხალხს ძალზე რთული ენით ესაუბრებიან, არასრულ, ტენდენციურ ინფორმაციას აწვდიან (ამის პატარა მაგალითია 2011 წლის 20 აგვისტოს, გაზეთ „საქართველოს რეს-პუბლიკაში“ გამოქვეყნებული სტატია ზუბალაშვილების მიერ ბათუმში აგებული ეკლესიის შესახებ), ყურადღება ნაკლებად მნიშვნელოვან პრობლემებზე გადააქვთ: მაგალითად, მზად ვართ კი იმისათვის, რომ გავიგოთ, რა ხდება დღეს საბანკო სისტემაში, საქმიან ბირჟებზე; ჰენრი ფორდმა, Ford Motor Company-ს ერთ-ერთმა დამაარსებელმა, სამართლიანად აღნიშნა: „კიდევ კარგი, რომ ხალხი ვერ გებულობს ჩვენს საბანკო და სავალუტო სისტემას, ვინაიდან ეს რომ გაეგო, დარწმუნებული ვარ, ადრე თუ გვიან რევოლუცია მოხდებოდა“.

მოდით, დავფიქრდეთ სამედიცინო სფეროზე, ფარმაციაზე, ზოგიერთი ეპიდემიის გავრცელებაზე; დავფიქრდეთ პოლიტიკურ თამაშებზე, პოლიტიკოსებზე, რომლებიც ამართლებენ ომს და სხვაგან ეძებენ დამნაშავეს; დავფიქრდეთ იმ მიზეზზე, თუ რატომ არ არის საქართველოში საკმარისი სამუშაო ადგილები და ქართველები იძულებულები არიან, სხვაგან ეძებონ სამუშაო, მაშინ როცა სხვა ქვეყნებიდან საქართველოში ჩამოდიან სამუშაოდ.

შეიძლება, ამ ერთობ კომპლექსურ სიტუაციაში ხალხი რეალურად არც იყოს მზად, მაგრამ სინამდვილეში ვინ ინტერესდება იმით, თუ რატომ არ არის ხალხი მზად? როდესაც უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ახალგაზრდა დიპლომს იღებს, მზად არის ის საზოგადოებაში თავისი მოვალეობის შესასრულებლად? როდესაც 17 წლის ახალგაზრდა ოჯახს ქმნის, მზად არის, არჩინოს თავისი ახლად შექმნილი ოჯახი? ერის კეთილდღეობაზე პასუხისმგებელი პირები გულგრილად ვერ მოეკიდებიან საკუთარი ხალხის კულტურულ, ინტელექტუალურ, გლობალურ განვითარებას, ისინი უნდა ზრუნავდნენ, რომ ხალხი მზად იყოს თანამედროვე სამყაროს გამოწვევების მისაღებად! თვით სარწმუნოება, ქრისტიანული ცხოვრება, რელიგია უნდა დაეხმაროს მორწმუნეებს, რომ სრული მზაობით იცხოვრონ თანამედროვე მსოფლიოში. ზოგჯერ იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეკლესია ლამის მუზეუმად იქცა, სადაც ყველაფერი უნდა იყოს დაცული: ფრიად მნიშვნელოვანიც და უმნიშვნელოც. ეკლესია ხალხს უნდა დაეხმაროს რეალური ხედვის ჩამოყალიბებასა და სამყაროს პრობლემების მშვიდად მიღებაში. ზოგჯერ გვგონია, რომ ეკლესიური ადამიანი გასული საუკუნის იდეებით უნდა იყოს შეპყრობილი და ეკლესიის გარეთ არც უნდა ამჩნევდეს ამქვეყნიურ პრობლემებს; მაგრამ თუ გვინდა, რომ ბზარი არ გაჩნდეს საერო და სასულიერო საზოგადოებას შორის, მაშინ მათ შორის დიალოგი უნდა შედგეს ისე, რომ არც ერთმა მხარემ არ დაკარგოს თავისი სპეციფიკური ნიშნები. მე მოვისმინე ერთ-ერთი მართლმადიდებელი მღვდლის საუბარი გრიგორიანული კალენდრის რეფორმის შესახებ; ცხადია, გასაგები იყო საეკლესიო და საერო წარმომადგენელთა შორის არსებული წინააღმდეგობა, მაგრამ მღვდელი, რომელიც არაკომპეტენტურობასა და არაავტორიტეტულობაში სდებდა ბრალს საეკლესიო კალენდრის რეფორმის მომხრეებს, იმავდროულად, ისე საუბრობდა, თითქოს თვითონ კომპეტენტური ასტრონომი ყოფილიყო, შეეხო წმიდა ბართლომეს ღამეს, თავად კალენდრის რეფორმის ავტორს – გრიგორი XIII-ს, ისე საუბრობდა იეზუიტებზე, როგორც ურწმუნო პიროვნებებზე, თითქოს განსწავლული ისტორიკოსი ყოფილიყო, არადა მის ყოველ სიტყვაში იგრძნობოდა პოლემიკის, იდეოლოგიზაციის, დეზინფორმაციის დიდი სურვილი. და რა შედეგს მოიტანს ამგვარი „ინფორმაცია“?

ცხადია, ამ მღვდლის აზრით, მისი მრევლის წევრებმა ყოველთვის ეჭვით უნდა შეხედონ სიახლეს! მაგრამ ვისი ბრალი იქნება, თუკი ისინი მოუმზადებლები აღმოჩნდებიან ნებისმიერი სიახლის წინაშე? კათოლიკე ეპისკოპოსი ამ დღეებში ასე წერდა: მე ვარ მწყემსი, და არა ფარა! ჩვენ, თანამედროვე ეპოქაში მაცხოვრებლებმა, მრავალი რამ ვიცით, მაგრამ ხშირად უმოძრაონი, პარალიზებულნი ვართ, არ ვიცით, როგორ ვიმოქმედოთ.

დიახ, ჩვენ, ყველანი, თავისუფალნი ვართ აზროვნებაში, მაგრამ ვაზროვნებთ კი თავისუფლად?

მამა გაბრიელე ბრაგანტინი

უწმიდესი პაპის ბენედიქტე XVI-ის საშობაო ეპისტოლე

ძვირფასო ძმებო და დებო!

ქრისტე იშვა ჩვენთვის! დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება! დაე, ყოველ ადამიანს მისწვდეს ექო ბეთლემის ცნობისა, რომელსაც კათოლიკე ეკლესია იმეორებს ყველა კონტინენტზე, მიუხედავად ეროვნული, ენობრივი და კულტურული ზღვრებისა. ძე ქალწულ მარიამისა იშვა ყველასათვის. იგია მხსნელი კაცთა.

კაცობრიობა ყოველთვის გრძნობდა, რომ საკუთარი ძალებით ვერ გაუმკლავდებოდა სიძნელეებს, ვერ აიცილებდა საფრთხეებს. მას სჭირდება უფრო ძლიერი ხელი, ზეცათაგან გამოწვდილი. ძვირფასო ძმებო და დებო! ეს ხელი იესოა, რომელიც იშვა ბეთლემში ქალწულ მარიამისაგან. იგი არის ის ხელი, რომელიც ღმერთმა კაცობრიობას გაუწოდა, რათა ცოდვის ორმოდან ამოეყვანა და კლდეზე დაესვა – თავისი ჭეშმარიტებისა და სიყვარულის უდრეკ კლდეზე (ფსალმ. 40,3).

ეს არის არსი იმ სახელისა, რომელიც ღმრთის ნებით უწოდეს ყრმას მარიამმა და იოსებმა. მას ჰქვია იესო, მხსნელი (შეად. მათე, 1,21; ლუკა, 1,31). მამა ღმერთმა გამოგზავნა იგი, რათა გვიხსნას კაცობრიობის ისტორიაში დამკვიდრებული ბოროტებისაგან, ცოდვისაგან, რომელსაც თავს ვერ დავაღწევთ ღმრთის გარეშე. ამიტომ ვუხმობთ მას: „Veni ad salvandum nos – მოვედ და გვიხსენ ჩვენ!“

ამ ლოცვის წარმოთქმა გვაყენებს სწორ გზაზე, გვიბრუნებს საკუთარი თავის ჭეშმარიტ ხედვას: ჩვენ ვართ ის ხალხი, რომელმაც მოუხმო ღმერთს და გადარჩა. ღმერთი მხსნელია, ჩვენ კი – საფრთხეში მყოფნი; იგი მკურნალია, ჩვენ – სნეულნი. ამის აღიარება ხსნისაკენ გადადგმული პირველი ნაბიჯია. ცისკენ აღვაპყროთ ხელები და შველა ვითხოვოთ, – აი, გამოსავალი, იმ პირობით, რომ არის ის, ვინც გვისმენს და საშველად მოვა.

იესო ქრისტე დასტურია იმისა, რომ ღმერთმა ისმინა ჩვენი ღაღადი. მისი სიყვარული ჩვენს მიმართ იმდენად დიდია, რომ იგი მოვიდა ჩვენთან და სრულად გაიზიარა ჩვენი კაცობრივი ბუნება. პასუხი, რომელიც ღმერთმა იესოში მოგვცა, უსაზღვროდ აღემატება ჩვენს მოლოდინს. ეს ერთობა იქნება არა მხოლოდ კაცობრივი, არამედ ღმრთეებრივი. მხოლოდ ღმერთს, რომელიც სიყვარულია და სიყვარულს, რომელიც არის ღმერთი, შეუძლია გვიხსნას ამ გზით. ეს გზა გრძელია, მაგრამ ამ გზაზე შევინარჩუნებთ ჭეშმარიტებას ღმრთისას. ეს შერიგების, დიალოგისა და თანადგომის გზაა.

ამიტომ, ძვირფასო ძმებო და დებო, თვალი მივაპყროთ ბეთლემის ყრმას, ქალწულ მარიამის ძეს, და შევთხოვოთ: „მოვედ და გვიხსენ ჩვენ!“ გავიმეოროთ ეს სიტყვები იმ მრავალ ადამიანთან ერთად, ვინც დღეს გასაჭირშია; გავიმეოროთ უუფლებოთა და უხმოთათვის.

ერთად ვევედროთ ღმერთს აფრიკული რქის მკვიდრთათვის, რომელნიც დღეს შიმშილით იტანჯებიან; ნუ დატოვებს საერთაშორისო საზოგადოებრიობა დახმარების გარეშე ამ რეგიონის მრავალრიცხოვან ლტოლვილს, რომელთა ღირსება სასტიკადაა შელახული; დაე, ნუგეში მისცეს ღმერთმა სამხრეთ-ჩრდილოეთი აზიის, განსაკუთრებით ტაილანდისა და ფილიპინების მკვიდრთ, რომლებიც დღესაც დიდ გასაჭირში არიან თავსდამტყდარი წყალდიდობის გამო.

შეეწიოს უფალი კაცობრიობას, ნაიარევს მრავალ კონფლიკტთა გამო, რომლებიც დღემდე სისხლით ავსებენ დედამიწას. დაე, დაამკვიდროს მშვიდობის უფალმა მშვიდობა მიწაზე, რომელიც თავისი შობის ადგილად აირჩია; შეაჩეროს ძალადობა სირიაში, სადაც უკვე ამდენი სისხლი დაიღვარა; დაამკვიდროს მშვიდობა ერაყსა და ავღანეთში; ძალა მისცეს ჩრდილოეთ აფრიკისა და შუა აღმოსავლეთის მკვიდრთ, რათა შეძლონ საყოველთაო კეთილდღეობისთვის ზრუნვა.

ძვირფასო ძმებო და დებო! თვალი მივაპყროთ ბეთლემის მღვიმეს: ყრმა, რომელსაც ახლა ვუმზერთ, ჩვენი ხსნაა. მან მოიტანა დედამიწაზე შერიგებისა და მშვიდობის საყოველთაო ეპისტოლე. გავუხსნათ მას ჩვენი გულები, მივიღოთ იგი ჩვენს ცხოვრებაში. და სასოებით გავიმეოროთ: „მოვედ და გვიხსენ ჩვენ!“

ადამიანი, რომელიც პოლიტიკას სულიერებას მატებდა



გასული წლის 18 დეკემბერს გარდაიცვალა ჩეხოსლოვაკიის უკანასკნელი და ჩეხეთის პირველი პრეზიდენტი, დისიდენტი, სამართალდამცავი, დრამატურგი, ესეისტი და პოეტი ვაცლავ ჰაველი.

გთავაზობთ სიტყვას, რომელიც ჰაველის პანაშვიდზე მისმა მეგობარმა, მღვდელმა და ცნობილმა თეოლოგმა, ტომაშ ჰალიკმა წარმოთქვა.

„სახელმწიფოს მეთაურის სიკვდილის შემდეგ, ერის მეხსიერებაში სულაც არ რჩება ის ცალკეული მომენტები, რომლებიც სრულად ავსებდა მის რიგით დღეებს. გაივლის დრო და მხოლოდ ისტორიკოსებს ეცოდინებათ, რა კანონებსა თუ საერთაშორისო ხელშეკრულებებს აწერდა ხელს პრეზიდენტი, ვინ დანიშნა მინისტრად, რომელ ქვეყანას ეწვია ამა თუ იმ დროს. ერის მეხსიერებაში დარჩება ხსოვნა იმისა,

▶ 4 ᲒᲒ.

◀ 3 გვ. როგორი იყო იგი, რით განსხვავდებოდა მისი პრეზიდენტობა წინამორბედისაგან, რა გავლენა მოახდინა თანამედროვეობაზე.

იმის წყალობით, რომ ჰაველი ორი სამყაროს ადამიანად დარჩა, – კულტურისა და პოლიტიკის, – მან ამ უკანასკნელის გამდიდრება შეძლო. ვაცლავ ჰაველის ძირითადი იარაღი სიტყვა იყო. მან პოლიტიკაში ახალი ენა მოიტანა. ტოტალიტარული რეჟიმის ჯურღმულში ჩვენმა პოლიტიკურმა ენამ ობი მოიკიდა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ პოლიტიკა მხოლოდ ძალაუფლების სტრატეგია როდია. იგი ასევე ურთიერთობის კულტურას გულისხმობს. გმადლობთ, ბატონო პრეზიდენტო, იმისთვის რომ მუდამ ცდილობდით, პოლიტიკისთვის სულიერება მიგენიჭებინათ“.

ცენზურა ლოცვაზე

აშშ-ს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, ძალაში რჩება ფორსიტის (ჩრდილო კაროლინა) საოლქო სასამართლოს დადგენილება, რომლის თანახმად, საოლქო საბჭოს სხდომათა ქრისტიანული ლოცვით დაწყება აშშ-ს კონსტიტუციის პირველ შესწორებას არღვევს.

სასამართლოს მონაცემებით, 2007-2008 წლებში საბჭოს სხდომათა დაწყების წინ წარმოთქმულ ლოცვათა 2/3-ში გამოყენებულია იესოს სახელი.

„როდესაც სამთავრობო სხდომები ამგვარი ლოცვით იხსნება, ეს იმის მანიშნებელია, რომ არაქრისტიანები მეორეხარისხოვან მოქალაქეებად მიიჩნევიან“, – განაცხადა ორგანიზაციის „ამერიკელები ეკლესიისა და სახელმწიფოს გამიჯვნისათვის“ (Americans United for Separation of Church and State) აღმასრულებელმა დირექტორმა ბერი ლინმა.

Alliance Defense Fund-ს იურისტი დევიდ კორტმანი, რომელიც სასამართლოში საოლქო საბჭოს ინტერესებს წარმოადგენდა, აცხადებს, რომ ამგვარი გადაწყვეტილება მეორეხარისხოვან მოქალაქეებად სწორედ ქრისტიანებს აქცევს.



სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, ლოცვა ნებადართულია, მხოლოდ ერთი პირობით: საბჭომ იმგვარად უნდა შეარჩიოს ლოცვის სიტყვები, რომ ერთი რელიგიური ჯგუფი მეორეზე არ დომინირებდეს.

ქრისტიანთა ერთობისთვის ლოცვის კვირეული

18 იანვრის საერთო აუდიენცია უწმიდესმა პაპმა ქრისტიანთა ერთობისთვის ლოცვის კვირეულს მიუძღვნა.

„საუკუნეზე მეტია, ყველა ეკლესიის ქრისტიანები ერთიანდებიან, რათა ევედრონ ღმერთს ამ საოცარი ნიჭისათვის, რომლისთვისაც თავად უფალი იესო ლოცულობდა: „რათა ყველა ერთი იყოს, როგორც შენ ჩემში, მამაო, მე კი – შენში, რათა ისინიც იყვნენ ჩვენში, რათა ირწმუნოს სოფელმა, რომ შენ მომავლინე“ (იოანე, 17,21). ვილოცოთ ერთობისთვის, რომელიც სურს ქრისტეს, და რომელიც მიიღწევა იმგვარად, როგორც სურს ქრისტეს. სულიერი შეხვედრა, რომელიც ყველა ტრადიციის ქრისტიანებს აერთიანებს, ეს აუცილებელი ლოცვა გვიჩვენებს, რომ ეს სასურველი ერთობა მხოლოდ ჩვენი ძალისხმევით ვერ იქნება მიღწეული, არამედ მოგვეცემა, როგორც ნიჭი.

ქრისტიანთა სრული და ხილული ერთობა, რომელიც ასე გვწყურია, ჩვენს სრულყოფას მოითხოვს; ერთობა, რომლისთვისაც ვლოცულობთ, მოითხოვს ჩვენს მოქცევას; მოითხოვს ახალ, ქრისტესმიერ ცხოვრებას; ეს არის ჩვენი ჭეშმარიტი და საბოლოო გამარჯვება.

ეკლესიის გზა მკვდრეთით აღმდგარი ქრისტეს ხელთაა, რომელმაც დათრგუნა სიკვდილი და გაიმარჯვა უსამართლობაზე. მხოლოდ იგი გვიხსნის გამიჯნულობის სენისგან. ძვირფასო ძმებო და დებო, გავერთიანდეთ ერთობისთვის ლოცვაში, რათა განმტკიცდეს ერთობლივი მოწმეობა, თანამშრომლობა და თანადგომა ქრისტიანთა შორის, იმ დღის მოლოდინში, როდესაც ერთად შევძლებთ რწმენის აღსარებას და ერთად აღვასრულებთ ქრისტეში ჩვენი ფერიცვალების საიდუმლოებას“.

ბრიტანეთის განათლების სამინისტრო კრეაციონიზმის წინააღმდეგ

ბრიტანული გამოცემის The Guardian ცნობით, ბრიტანეთის განათლების სამინისტრო დაფინანსებას შეუწყვეტს იმ სკოლებს, რომლებშიც შეისწავლება კრეაციონიზმი, როგორც მეცნიერება.

ფინანსირების შესახებ ახალი დადგენილების თანახმად, განათლების მინისტრი უფლებამოსილია, აღარ გამოყოს საბიუჯეტო სახსრები სკოლებისთვის, რომლებშიც ჩარლზ დარვინის მოძღვრებას უარყოფენ.

სკოლებში კრეაციონიზმის სწავლების წინააღმდეგ კამპანიას აქტიურად ახორციელებენ ბრიტანეთის ჰუმანისტური ასოციაცია (British Humanist Association) და, ასევე, რიგი ნატურალისტები, მათ შორის, ცნობილი ტელეწამყვანი სერ დევიდ ატენბორო და ევოლუციონისტი რიჩარდ დოკინზი.

განათლების სამინისტროს დადგენილება შეეხება მხოლოდ ე. წ. „თავისუფალ სკოლებს“, – სასწავლო დაწესებულებებს, სადაც დასწრება, სასწავლო საგნების შერჩევა ნებაყოფლობით ხორციელდება. ამგვარი სკოლები საბიუჯეტო სახსრებიდან ფინანსდება, თუმცა სასწავლო პროგრამები სამინისტროს მიერ არ კონტროლდება. პირველი „თავისუფალი სკოლები“ დიდ ბრიტანეთში გასულ წელს გაჩნდა. ყველაზე ხშირად ამგვარი სკოლები სხვადასხვა რელიგიურ ჯგუფთა მიერ ფუძნდება.

მოამზადა
რუსუდან ავალიშვილმა

წმიდა ოჯახის დღესასწაული გორში

2011 წლის 30 დეკემბერი უჩვეულოდ ლამაზი იყო გორში, რადგან ის გორის სამრევლოსთვის განსაკუთრებული დღეა – წმინდა ოჯახის დღესასწაული.

შობა-ახალი წლის სიხარულთან ერთად, ჩვენი სამრევლოს დღე განსაკუთრებულად მორთულ-მოკაზმული და საზეიმოა ხოლმე, ამ ელფერს მას ჩვენი მეუფე და ძვირფასი სტუმრები ანიჭებენ.

არც წელს დარღვეულა ტრადიცია და გორის პატარა სამრევლო სტუმართა სიუხვემ და მრავალფეროვნებამ გაამდიდრა და გაალამაზა: ჩვენი ძვირფასი მეუფე ჯუზეპე პაზოტო, დედა ტერეზას დები, კამილიელი დედები და მამები, სხვადასხვა სამრევლოს წარმომადგენლები და ორღანისტი მარინა აკოფაშვილი, რომელმაც სადღესასწაულო ლიტურგია გაგვილამაზა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და გულში ჩამწვდომი იყო ჩვენი მეუფის ქადაგება:

„ოჯახური ცხოვრება – ეს ყველაზე ძვირფასი და შეუცვლელი გამოცდილებაა თითოეული ჩვენგანისათვის. ღმერთმა ინება, რომ მისი განხორციელება ოჯახში მომხდარიყო, თავად უფალი აღიზარდა ოჯახური ტრადიციებისა და ჩვეულებების მორჩილად. ადამიანის ფორმირება ოჯახში ხდება და სწორედ ქრისტიანული ოჯახია ის საფუძველი, საყრდენი, რომელიც ისევე აუცილებელია ადამიანის სწორად განვითარებისა და ჩამოყალიბებისათვის, როგორც ახალგაზრდა ვაზისათვის ჭიგო.“

წირვის შემდეგ, ყველა სადღესასწაულო ვახშამზე შეკრიბეთ, სადაც გულითადი საუბრები გაიმართა, მხიარულება და ერთად ყოფნის სიხარული სუფევდა.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ეპისკოპოსს, ყველა სტუმარს და განსაკუთრებით მამა აკაკის და მთელ კამილიელთა ოჯახს, იმ ზრუნვისა და მხარში დგომისათვის, რასაც ჩვენს მიმართ იჩენენ.

ვისურვებდი, რომ ჩვენი პატარა საკრებულო გაზრდილიყოს რწმენასა და უფლის სიყვარულში და ჩვენი ოჯახები წმინდა ოჯახის ნათელი მაგალითი გამხდარიყოს.

ნატალია ალავერდაშვილი

არლის საკრებულო

თურმე რა ცოტაა საჭირო ადამიანის ბედნიერებისათვის?!

ალბათ ყველას განგვიცდია სიხარული, თუმცა როცა სხვას ეხმარები შენ კი კმაყოფილი რჩები და გიხარია, ეს ყველაზე განსხვავებული გრძნობაა. ქრისტიანობის ყველაზე ლამაზი ნიშანია სხვას ბედნიერება მიანიჭო და ამით შენც ბედნიერად იგრძნო თავი, სწორედ ასეთ მდგომარეობაში ვიყავით, როდესაც, 17 დეკემბერს არლის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების დასახმარებლად გავემართეთ. მამა მიშას მიერ წინასწარ გამზადებული საჩუქრები წავიღეთ და მოძღვართან ერთად ჩვენივე სოფლის სხვადასხვა სახლის კართან მასპინძელს ვუხმობდით. მარტო დარჩენილ მოხუცებს ჯერ გაოცაბას ვატყობდით, მაგრამ როცა გაიგებდნენ, რომ ჩვენი ვიზიტით შობას ვულოცავდით, მათი თვალები სიხარულის ცრემლებით ივსებოდა, გრძნობდნენ, რომ ვიღაცას ახსოვს, რომ კაცთაგან მიტოვებულები ღმერთმა არ მიატოვა.

გაოცებით ვუყურებდით, როგორი მოწიწებით ხვდებოდნენ მამა მიშას, აღარ იცოდნენ რითი ესიამოვნებინათ მღვდლისათვის. თითოეულ ოჯახში მასპინძლებთან ერთად ვლოცულობ-

▶ 6 ᲒᲒ.

◀ 5 გვ.

დით, ვგალობდით, წინასწარ ვულოცავდით შობას და სხვა ოჯახებში მივდიოდით, სადაც იგივენაირი სითბოთი და სიყვარულით სავეს თვალებით გვეგებებოდნენ. ემოციებით არა მარტო მასპინძლები, არამედ ჩვენ, ახალგაზრდებიც ვივსებოდით. შეუძლებელი იყო თავი შეგვეკავებინა და ცრემლი არ მოგვდგომოდა თვალზე, როცა ქოხში მცხოვრებ მოხუც მამაკაცთან მივედით. იგი სულ მარტო მიუყვებოდა ცხოვრების დარჩენილ გზას. ერთ პატარა ოთახში უწესრიგოდ დალაგებული ნივთები, განუყრელი ხელჯოხი და, რაც გასაოცარია: გამოსაცხობად გამზადებული ცომი ედგა, რომლითაც „პური არსობისა“ უნდა გამოეცხო, ის ერთადერთი, რაც არსებობისათვის დარჩენოდა.

ამ მდგომარეობაში დარჩენილი ადამიანებისათვის დიდი ბედნიერება იყო ის მცირედი, რასაც ჩვენ ვაკეთებდით მათთვის. სხვადასხვა პრობლემებისაგან, უძლურებისა და სიღარიბისაგან დამძიმებული ადამიანები ჩვენს ყურადღებას კარგა ხნის დავიწყებული ღიმილით ხვდებოდნენ, ჩუმად იწმედდნენ ცრემლიან თვალებს და უკვე ბედნიერი სახით გვაცილებდნენ სახლიდან. ყოველი სტუმრობის შემდეგ თითოეული ჩვენგანი კმაყოფილებით ვივსდებოდით, ვგრძნობდით რა ბედნიერებაა დაეხმარო სხვას და შენც გული სიხარულით გევსებოდეს. მასპინძლები გვპირდებოდნენ, რომ ჩვენგან ნაჩუქარ სანთელს შობის ღამეს აანთებდნენ და ჩვენთვის ილოცებდნენ. სახლიდან გამოსულებს მათი ათრთოლებული ხმა გვაცილებდა, გვლოცავდნენ, ლამაზ სიტყვებს არ იშურებდნენ ჩვენთვის, გაბრწყინებული სახით და გადაჩვეული ღიმილით მადლობას გვიხდიდნენ. იმ რამდენიმე წუთის განმავლობაში, რასაც მათთან ერთად ვატარებდით, ეს ადამიანები ივიწყებდნენ ყოველდღიურ, შეჩვეულ ცხოვრებას და უფალს მასპინძლობდნენ გულში.

არ ვიცი რამდენად შევძელით გადმოგვეცა ის გრძნობა, რაც მაშინ განვიცადეთ, თუმცა ეს ერთი დღე ყოველი ჩვენთაგანის ცხოვრებაში დარჩება, როგორც ლამაზი, ქრისტიანული წუთები, ყველაზე ლამაზი სამზადისი ქრისტეს შობისათვის. ეს ემოცია ჩვენ და ჩვენს მასპინძლებსაც დიდხანს გაგვყვება.

არილს ახალგაზრდების ჯგუფი

მომლოცველობა შიომღვიმეში

შემოდგომის უკანასკნელ დღეებს უკვე ეტყობა, რომ ზამთარი გაძლიერდა და შემოდგომას სძლია. სიცივეა, დილის 7 საათი, სიფელს ძინავს და სიჩუმე უნდა იყოს, მაგრამ აქეთ-იქიდან რაღაც უჩვეულო ხმაური ისმის. ეს, ის დღეა, როცა არლის კათოლიკე ახალგაზრდები მოძღვართან ერთად მომოლოცველობაზე საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს სამონასტრო კომპლექში – შიომღვიმეში მიდიან.

მიუხედავად იმისა, რომ სიცივისგან ყველა გაყინულია, მაინც მხიარულები და ენერგიულები არიან. მშვიდათ ელოდებიან *„ძილისგუდა“* მომლოცველებს.

როგორც იქნა ყველანი შეიკრიბნენ, ავტომობილში მოთავსდნენ და გაემგზავრნენ. რა თქმა უნდა, რისი მომლოცველობა იქნებოდა, რომ არა, ლოცვა და ღმერთისადმი მადლობის მიძღნა. მათ, არც ეს დავიწყებიათ.

დიდი ხნის მგზავრობის შემდეგ ჯვრის მონასტერი გამოჩნდა, რაც იმას მიანიშნებს, რომ უკვე მცხეთაა და მხოლოდ რამდენიმე კილომეტრის გზაა შიომღვიმემდე.

უკვე შიომღვიმეც გამოჩნდა, ყველა გახარებულია,

დანიშნულების ადგილზე არიან, ავტომობილიდან ჩამოდიან და სრწაფად მიემართებიან დასათვალიერებლად. რა თქმა უნდა, კათოლიკე გოგონებს ტაძარში შესვლისას თავსაბურავების დაფარება არ დავიწყებიათ. „სხვისი რელიგიის პატივისცემა, საკუთარი რელიგიის პატივისცემაა“, – აღნიშნა თაკო ფეიქრიშვილმა. სამონასტრო კომპლექსისი სილამაზემ და საუკეთესო ხედებმა ახალგაზრდებს სურათების გადაღება გადააწყვეტინა (*სოც-ქსელებისთვის ან პირადი ფოტო ალბომების შესავსებად).*

მოახლოვდა შიომღვიმეს დატოვების დრო, უკან ბრუნდებიან, მაგრამ იმ იმედით, რომ სვეტიცხოველსა და მცხეთის განახლებულ ქუჩებს მოინახულებენ. შთაბეჭდილებები და აზრთა გაცვლა-გამოცვლა განახლებულმა ქუჩებმა გამოიწვია *(ალბათ იმიტომ, რომ მანამადე სვეტიცხოველში ყველა ნამყოფი იყო).*

„ჩემზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება, ქართული ეზოს იმიტაციამ მოახდინა, აღფრთოვანებული ვარ“, – აღნიშნავდა ნინო ტატალაშვილი.

„პური ჩვენი არსობისაო“ და, მოძღვარს სულიერ საკვებთან ერთად ხორციელი საზრდოც არ დავიწყებია. ეს ახალგაზრდებისთვის სიურპრიზი იყო: წეროვანში თავისი საუკეთესო სამზარეულოთი დაგვხვდნენ.

ყველა დანაყრებული და კმაყოფილია. დადგა უკან დაბრუნების დრო, თითქოს დაღლილები არიან, მაგრამ ის კმაყოფილება მოსვენებას არ აძლევთ მოდუნდნენ და ერთმანეთს შთაბეჭდილებებს უზიარებენ. კიდევ ერთი ლამაზი დღე არლის კათოლიკე ახალგაზრდების ცხოვრებაში და მათ დღიურებში.

„მადლობა ღმერთს, რომ ეს დღე მართლაც დაუვიწყარი გახადა ჩვენს ცხოვრებაში“, – იმეორებდნენ ახალგაზრდები.

P.S. *რა თქმა უნდა, არავის დავიწყებია დიდი მადლობა მამა მიშასათვის, რომელიც იყო ამ ლამაზი დღის ორგანიზატორი.*

არილს ახალგაზრდების ჯგუფი

კონცერტი სოფელ არილში

არლის ახალგაზრდულ ცენტრ „ერთობის“ მოსწავლეებმა, პროექტის თანამშრომლების ორგანიზებით მოამზადეს საშობაო ღონისძიება, რომელიც უნდა ჩატარებულიყო 26 დეკემბერს, მაგრამ ჩვენს რაიონში საქართველოს პრეზიდენტის სტუმრობის გამო გადაიდო.

ღონისძიება ჩატარდა ძველით ახალ წელს 2012 წლის 14 იანვარს. ბავშვები მოუთმენლად ელოდნენ ამ დღეს. მათ აჩვენეს, რომ ცენტრი „ერთობა“ კიდევ ერთი ნაწილია ჩვენი ეკლესიის სამრევლოსი.

მათ შეასრულეს სხვადასხვა საცეკვაო ნომრები, ინსცენირებები და სიმღერები. დაახლოებით ერთი საათი გაგრძელდა ეს კონცერტი. მიუხედავად სიცივისა, ისინი გულმოდგინედ ასრულებდნენ თავიანთ ნომრებს და მოუთმენლად ელოდნენ თოვლის ბაბუის მოსვლას. ბავშვებმა ძალიან გაიხარეს მისი გამოჩენით, რომელმაც თითოეული მონაწილე დაასაჩუქრა.

დიდი მადლობა გვინდა ვუთხრათ მამა მიშას გაწეული დახმარებისათვის და ყველა მათ, ვინც გამოიჩინა ყურადღება და დაგვეხმარა. კონცერტს დაესწრო არლის კათოლიკური ეკლესიის მოძღვარი მამა იეჟი, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა კონცერტის ორგანიზებაში.

ახალგაზრდული ცენტრის – „ერთობა“ მოსწავლეები

(ავტორთა თხოვნით, სამივე წერილის სტილი დაცულია - რედაქცია)

ვალეს სამრევლო

ქრისტეშობის დღესასწაული ვალეს სამრევლოში

25 დეკემბერი – ქრისტეს შობა, ბრწყინვალე დღესასწაული მთელ ქრისტიანულ სამყაროში. სწორედ ამ დღეს იშვა ჩვენთვის იესო ქრისტე, ძე ღვთისა, ჩვენი მხსნელი და მფარველი. ამ დღეს ყველა ულოცავს ერთმანეთს და ყველგან სადღესასწაულო განწყობა სუფევს. ასეთი განწყობა ჩვენს სამრევლოში უფრო გაამძაფრა წინასაშობაო ოთხკვირიანმა სიფხიზლემ, ლოცვამ და ყოველდღე, დილის შვიდ საათზე, წირვებზე დასწრებამ.

დადგა ეს სანატრელი, ჩუმი, წმიდა და წყნარი ღამეც. 24 დეკემბერს, შუაღამისას, წმ. წირვა, ტრადიციულად, იწყება 24:00 საათზე და ორი-სამი საათი გრძელდება. ამ ღამეს უამრავი ადამიანი იკრიბება და ეკლესია გადაჭედილია. ეს ღამე განსაკუთრებული აღმოჩნდა ჩვენთვის, ვალელი კათოლიკეებისთვის, რადგანაც გვეწვივნენ სტუმრები ივლიტადან, ახალციხიდან, ბორჯომიდან; თბილისიდან ჩამოვიდნენ ინტერნეტგაზეთის კორესპონდენტები, რომლებმაც გადაიღეს წმ. წირვის მსვლელობა და მეორე დღესვე განათავსეს ინტერნეტგაზეთში, სათაურით: „შობის ღამე ვალეს კათოლიკურ ეკლესიაში“ (მსურველებს შეუძლიათ იხილონ საიტზე: www.netgazeti.ge)

ქადაგებაში მამა ზურაბმა გვახარა, რომ „ქრისტე იშვა ჩვენთვის, რომელმაც არ ითაკილა, შობილიყო ბაგაში, რითაც ჩვენ, ცოდვილებს, გვითხრა: არ ვითაკილებ შენს ცოდვილ ცხოვრებაში შემოსვლას, თუ გულის კარებს გამიღებ. მაშინ მოგანიჭებ ყველა იმ თბილ გრძნობას, რომელსაც შენ ეძებ, ადამიანო, რაც ხშირად გაკლია და, შეიძლება, იმედგაცრუებულიც ხარ. მე მაქვს თბილი და ტკბილი გრძნობებით სავსე, ულევი მარაგი“.

ქადაგების დასრულების შემდეგ, მამა ზურაბმა ახალშობილი ყრმა იესოს ფიგურა საკურთხევლის წინ მოწყობილ „ბაგაში“ მოათავსა.

წინაპართა ტრადიციის თანახმად, ერთმანეთს გოზინაყით ვულოცავთ შობას. ეს ტრადიცია მამა ზურაბსაც არ დავიწყებია, ყველას გოზინაყით გაგვიმასპინძლდა და კიდევ ერთხელ მოგვილოცა შობის დღესასწაული.

ყველაფერი კი ფეიერვერკებით დასრულდა.

შობის დღესასწაული ვალეს ახალგაზრდებმა წელს განსაკუთრებულად აღვნიშნეთ: 25 დეკემბერს, 17:00 სთ-ზე ყველანი შევიკრიბეთ სადღესასწაულოდ მორთულ ახალგაზრდულ ცენტრში. შეხვედრა ჩაბნელებულ ოთახში, შუშხუნებით ხელში, საშობაო გალობით დაიწყო. შემდეგ მამა ზურაბმა სახარებიდან წაგვიკითხა ფრაგმენტი იესოს შობის შესახებ, მოკლედ განგვიმარტა საკითხავი და გოზინაყით მოგვილოცა შობა.

ჩვენ გვახსოვდა, რომ ახალ წელს ადამიანები გოზინაყით ულოცავდნენ ერთმანეთს, მამა ზურაბმა კი შეგვახსენა, რომ ჩვენი წინაპრები სწორედ შობას ულოცავდნენ გოზინაყით ერთმანეთს, მაგრამ კომუნისტური რეჟიმის პერიოდში, რადგანაც შეუძლებელი იყო 25 დეკემბერს შობის აღნიშვნა, გოზინაყით მილოცვამ, ნაძვის ხის მორთვამ და საჩუქრების მიძღვნამ ახალ წელს გადაინაცვლა. ახლა კი დროა, ისევ აღვადგინოთ ჩვენი ძირძველი ტრადიციებიო, – დასძინა ჩვენმა წინამძღვარმა, – და რასაც ახალ წელს ვაკეთებდით, ახლა საშობაოდ უნდა გავაკეთოთო.

გოზინაყით პირის ჩაკოკლოზინების შემდეგ, მივირთვით ჩვენს მიერ მოტანილი კერძები და ტკბილეული. შემდეგ ჩატარდა ინტელექტუალური თამაში-შეჯიბრი. მერე კი მამა არტურმა, გიტარაზე ქართული გალობებისა და სიმღერების შესრულებით, ძალიან გაგვახალისა. ამას მოჰყვა ქართული ხალხური ცეკვები.

თურმე ამ ღამეს სხვა სიურპრიზიც გველოდა. ახალგაზრდულ ცენტრში შეკრებილმა სამოცდაორმა ახალგაზრდამ „იესოსგან წერილები მივიღეთ“. მამა ზურაბმა კი ყველანი მინიატურული ზომის „ახალი აღთქმით“ დაგვასაჩუქრა. ამასობაში ოთხ-ნახევარი საათი ისე გავიდა, ვერც კი შევნიშნეთ. შეხვედრა მშვენიერი ფეიერვერკებით დავასრულეთ.

კიდევ ერთი ლამაზი და დაუვიწყარი დღე ჩაიწერა ჩვენი მოგონებების ფურცელზე; დიდ მადლობას მოვახსენებთ მამა ზურაბს და მამა არტურს, ახალგაზრდებთან ასეთი ლამაზი შეხვედრის ორგანიზებისათვის.



მოულოდნელი სიხარული

2012 წლის 8 იანვარს, კათოლიკურმა სამყარომ აღნიშნა ერთ-ერთი დიდი საუფლო დღესასწაული – ნათლისღება. ამ დღეს მამა ღმერთმა სიტყვით დაადასტურა ქრისტეს ღვთაებრიობა: როდესაც ძე ღმერთი მდინარე იორდანეში ნათელს იღებდა, სული წმიდა გარდამოვიდა მასზე მტრედის სახით და ზეციდან გაისმა მამა ღმერთის ხმა: „ეს არის ჩემი საყვარელი ძე, რომელიც მოვიწონე მე“ (მათ. 3,17).

ამ დღეს ეკლესიაში უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი. სრულიად მოულოდნელად გვეწვია ჩვენი უსაყვარლესი ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო. მისმა უეცარმა სტუმრობამ ყველანი ძალიან გაგვახარა. სადღესასწაულო წირვას მეუფე ჯუზეპე უძღვებოდა. წირვის დასაწყისს მან ასე მოგვმართა: „გავიგე, რომ უფლის შობა ვალეს სამრევლომ ლამაზად აღნიშნა და დღეს, როდესაც მთავრდება შობის ჟამი, ვისურვე, ეს ლამაზი დღესასწაული თქვენთან ერთად განმეცადა“.

მეუფე ჯუზეპეს ქადაგება გულში ჩამწვდომი, დამამშვიდებელი და დამრიგებლური იყო. მან შეგვახსენა ორი ძირითადი რამ, რაც ჩვენ, ქართველ კათოლიკეებს, მუდამ უნდა გვახსოვდეს, რადგან საქართველოში ამ ფაქტებს ხშირად ვაწყდებით ხოლმე. პირველი, რომ ნათლობა ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენს ცხოვრებაში და ის მხოლოდ ერთხელ ხდება. ამასთან, კარგი იქნება, თუ ყველას გვეცოდინება ჩვენი ნათლობის თარიღი; მეორე, მნიშვნელოვანი პირობა კი ის არის, რომ თუ ოჯახის წევრები, მეუღლეები კათოლიკეები არიან, შვილებიც აუცილებლად უნდა მონათლონ კათოლიკურ ეკლესიაში.

ჩვენთვის ამ მნიშვნელოვანი არგუმენტების შეხსენება ამ ლამაზ – უფლის ნათლისღების დღეს, ძალიან მნიშვნელოვანი იყო, და ვეცდებით, ასე ვიცხოვროთ და სხვებსაც შევახსენოთ ეს შეგონებები.

მესხეთში და, რა თქმა უნდა, ვალეშიც ნათლისღების დღესასწაულის აღნიშვნის ასეთი ტრადიცია გვაქვს: როდესაც მღვდელმსახური წყალს აკურთხებს და ჯვარს ჩაასვენებს ნაკურთხ წყალში, ამის შემდეგ წინასწარ არჩეული ერთ-ერთი პიროვნება ამოიღებს ნაკურთხი წყლიდან ჯვარს, ეამბორება და ეკლესიაში დადგება ჯვრით ხელში, რის შემდეგაც ტაძარში მყოფ ყველა ადამიანს შეუძლია ეამბოროს ჯვარს. ამ არჩეულ პიროვნებას სოფლის ნათლიას, ან წლის ნათლიას ვუწოდებთ. ის ისეთი ადამიანი უნდა იყოს, ვინც სისტემატურად დადის ეკლესიაში, ხშირად ამბობს აღსარებას, ღებულობს ზიარებას და ცხოვრობს ქრისტიანულად. როგორც ყოველი ჩვენგანის ნათლია უნდა იყოს სამაგალითო პიროვნება, ქრისტიანულ ცხოვრებაში ჩვენი მასწავლებელი, ასევე, სოფლის ნათლიაც უნდა იყოს მრევლისათვის სამაგალითო პიროვნება მთელი წლის განმავლობაში (მომავალ ნათლისღებამდე).

ჩვენთვის, ვალეს მრევლისთვის, განსაკუთრებით ამაღელვებელი იყო ის ფაქტი, რომ წელს ჩვენს ეკლესიაში ეპისკოპოსმა აკურთხა წყალი: მან აკურთხა მარილი, შემდეგ ნაკურთხი მარილი წყალში ჩაყარა, ვერცხლის ჯვრით მოურია და ჯვარი წყალში ჩაასვენა. ამის შემდეგ ყველანი მოუთმენლად ველოდებოდით, ვინ ამოიღებდა წყლიდან ჯვარს, ე.ი. ვინ იქნებოდა სოფლის ნათლია 2012 წელს. ჩვენმა წინამძღვარმა, მამა ზურაბმა ბატონ მათე ჩიტაშვილს საკურთხეველთან უხმო და სთხოვა, მას ამოეღო ჯვარი. ყველამ შევნიშნეთ ბატონი მათეს მღელვარება და ამ მნიშვ-

ნელოვანი პასუხისმგებლობით გამოწვეული განცდები. ვუსურვებთ მას, რომ ღმერთმა მისცეს გამძლეობა და სიმტკიცე, რათა სოფლის სამაგალითო ნათლია იყოს მთელი წლის განმავლობაში.

წირვის დასრულების შემდეგ, მეუფე ჯუზეპემ და მამა ზურაბმა ნაკურთხი მარილითა და ვერცხლის ჯვრით აკურთხეს საკმაოდ დიდი რაოდენობის (დაახლოებით, 500 ლიტრამდე) წყალი, რომელიც ეკლესიის გარეთ, დიდ ჭურჭლებში იყო მოთავსებული. ნაკურთხი წყალი ყველა კათოლიკეს მიაქვს ოჯახში, რათა მთელი წლის განმავლობაში საჭიროებისამებრ გამოიყენოს იგი.

მართალია, უფლის ნათლისღებით მთავრდება შობის ჟამი, მაგრამ ჩვენს სამრევლოში არ ნელდება ამ დღესასწაულით გამოწვეული სიხარული, რადგანაც უკვე ტრადიციად იქცა, რომ ნათლისღების შემდეგ, ჩვენი სამრევლოს მოძღვრებმა მოინახულონ და აკურთხონ ჩვენი ოჯახები, რათა ჩვენს ოჯახებში დაისადგუროს ურთიერთსიყვარულმა, ბარაქამ და შევძლოთ ქრისტიანულად ცხოვრება; ხოლო სახლის კურთხევით განიდევნოს ჩვენგან და ჩვენი ოჯახებიდან ყოველგვარი ცუდი, ბოროტი და ეშმაკეული, რათა უფრო მეტად ვაქოთ და ვადიდოთ უფალი.

მთელი სამრევლოს სახელით, მინდა, გულითადი მადლობა გადავუხადო ჩვენს ეპისკოპოს ჯუზეპე პაზოტოს იმ ლამაზი საჩუქრისათვის, რაც თავისი მოულოდნელი ჩამობრძანებით გაგვიკეთა.

P.S. წირვის დასასრულს, მამა ზურაბმა კვლავ შეგვახსენა: თუ არის ვინმე ისეთი პიროვნება, რომელიც თავისი ნების გარეშე (სხვადასხვა სიტუაციებიდან გამომდინარე, გამოუვალ მდგომარეობაში მყოფი) გადაინათლა და შემდეგ მიხვდა, რომ დიდ ცოდვაში ჩავარდა და ნანობს ამის გამო, მაგრამ ვერ ბედავს ეკლესიაში მოსვლას, იცოდეს, რომ მისთვის ეკლესიის კარები ღიაა; ეკლესია მზადაა, ყოველთვის მიიღოს ასეთი პიროვნება თავის წიაღში. ამისათვის საჭიროა, იგი მივიდეს მოძღვართან, გულახდილად მოახსენოს ყველა ის გარემოება, რამაც აიძულა გადანათვლა და მოძღვარი, ეკლესიისაგან მინიჭებული ნებართვის საფუძველზე, მას კვლავ ჭეშმარიტების გზაზე დააყენებს, რათა კვლავ გახდეს კათოლიკე ეკლესიის წევრი.

თინიკო მანველიშვილი

წმიდა მამის, ბენედიქტე XVI–ის წერილი ავადმყოფთა XX მსოფლიო დღისათვის

„ადექ და წადი; შენმა რწმენამ გიხსნა შენ“ *ლკ. 17,19*

დანო და ძმანო!

ავადმყოფთა მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, რომელსაც ავღნიშნავთ მომავალ 11 თებერვალს, ლურდის ნეტარი ქალწული მარიამის მოხენიებისას, მწადია განვაახლო ჩემი სულიერი სიახლოვე ყველა სნეულთან, ვინც საავადმყოფოში თუ საკუთარ სახლში იმყოფება და გამოვხატო მათდამი ეკლესიის მზრუნველობა და სითბო. ყოველი ადამიანური სიცოცხლის, განსაკუთრებით კი უძლურისა და სნეულის სიცოცხლის სულგრძელი და სიყვარულით სავსე მიღებით ქრისტიანი გამოხატავს სახარების მოწმობის ერთ მნიშვნელოვან ასპექტს, ქრისტეს მიბაძვით, რომელიც დაიხარა როგორც მკურნალი, ადამიანის ხორციელი და სულიერი სატანჯველისა.

1. 2013 წლის 11 თებერვალს გერმანიაში საზეიმოდ აღინიშნება ავადმყოფთა მსოფლიო დღე, რომელიც სამარიელის ემბლემატური ფიგურის ირგვლივ იტრიალებს (შდრ. *ლკ.* 10,29–37). წელს ამ თარიღისათვის უშუალო მზადების წელია და მსურს ყურადღება გავამახვილო „განკურნების საიდუმლოებზე“, ანუ, სინანულისა და შერიგების საიდუმლოზე და სნეულთა ზეთისცხებაზე, რომელნიც ბუნებრივ სისავსეს პოვებენ ევქარისტიულ ზიარებაში.

ლუკას სახარებაში მოთხრობილი იესოსა და ათი კეთროვნის შეხვედრა (*ლკ.* 17,11–19), განსაკუთრებით კი ის სიტყვები, უფალი რომ მიმართავს ერთ მათგანს: „ადექი და წადი; შენმა რწმენამ გიხსნა შენ!“ (მუხ. 19), გვეხმარება გავიაზროთ რწმენის მნიშვნელობა იმათში, ვინც ტანჯვითა და ავადმყოფობით დამძიმებულნი მიეახლებიან უფალს. მასთან შეხვედრაში შეუძლიათ ცოცხლად განიცადონ, რომ მორწმუნე არასოდესაა მარტო! მართლაც, ღმერთი, საკუთარი ძის მიერ, არასოდეს გვტოვებს ჩვენს კაეშანსა და ტანჯვებში, არამედ ჩვენს გვერდითაა, გვეხმარება მათ ზიდვაში და სწადია სიღრმისეულად (საფუძვლიანად) განკურნოს ჩვენი გულები (შდრ. *მარ.* 2,2–12).

იმ ერთადერთი კეთროვნის რწმენა, – რომელმაც როდესაც იგრძნო, რომ განიკურნა, განცვიფრებული და გახარებული, სხვებისაგან განსხვავებით, მაშინვე დაბრუნდა იესოსთან თავისი მადლობის სათქმელად, – გვიჩვენებს, რომ აღდგენილი სიჯანსაღე არის ნიშანი რაღაც გაცილებით უფრო ძვირფასისა, ვიდრე ფიზიკური განკურნებაა, ნიშანია იმ ხსნისა, რასაც ღმერთი გვანიჭებს ქრისტეს მიერ; ის გამოხატულებას პოვებს იესოს სიტყვებში: შენმა რწმენამ გიხსნა შენ. იგი, ვინც საკუთარ ტანჯვასა და ავადმყოფობაში მოუხმობს უფალს, დარწმუნებულია, რომ მისი სიყვარული არასოდეს მიატოვებს მას და, რომ ეკლესიის სიყვარულიც, ეკლესიისა, რომელიცაა უფლის დამხსნელი ქმედების ჟამთასვლაში განვრცობა, არასდროს დაილევა. ამგვარად, ხორციელი განკურნება, გამოხატულება უფრო ღრმა ხსნისა, გვიჩვენებს თუ რაოდენ მნიშვნელოვანია უფლისათვის ადამიანი, ხორცისა და სულის მთლიანობაში. ყოველი საიდუმლო გამოხატავს და ახორციელებს თავად ღმრთის სიახლოვეს, რომელიც, სრულებით უანგაროდ, „გვეხება მატერიის საშუალებით ..., რასაც იყენებს იგი და აქცევს ჩვენი მასთან შეხვედრის იარაღად“ (*ჰომილია*, მირონის კურთხევის წირვა, 1 აპრილი 2010). „ხილული ხდება ერთობა შექმნასა და გამოხსნას შორის. საიდუმლონი გამოხატულებაა ჩვენი რწმენის სხეულებრიობისა, რომელიც მოიცავს ხორცსა და სულს, მთლიან ადამიანს“ (*ჰომილია*, მირონის კურთხევის წირვა, 21 აპრილი 2011).

ეკლესიის უმთავრესი დავალება, უდაოდ, ღმრთის სასუფევლის ქადაგებაა, „მაგრამ თავად ეს უწყება უნდა იყოს კურნების პროცესი: '... გულგატეხილთა იარების შეხვევა' (*ეს.* 61,1)" (იქვ.), იმ დავალების მიხედვით, რაც იესომ მიანდო თავის მოწაფეებს (შდრ. *ლკ.* 9,1–2; *მთ.* 10,1.5–14; *მარ.* 6,7–13). ხორციელი სიჯანსაღისა და სულის ჭრილობათა და რღვევათაგან განახლება გვეხმარება უკეთ გავიგოთ „განკურნების საიდუმლონი“.

2. მონანიების საიდუმლოს ხშირად ეკავა ეკლესიის მწყემსთა ნააზრევში ცენტრალური ადგილი, სწორედ იმ დიდი მნიშვნელობის გამო, რაც მას ეკუთვნის ქრისტიანული ცხოვრების გზაზე, რაკიღა „სინანულის მთელს ფასეულობას შეადგენს ღვთის მადლისადმი ჩვენი დაბრუნება და ჩვენი მასთან უშინაგანესი მეგობრობით

შეერთება“ (*კათოლიკე ეკლესიის კატეხიზმო*, 1468). ეკლესია, იესოსაგან გაჟღერებული მიტევებისა და შერიგების უწყების გაგრძელებით, არა წყვეტს მთელი კაცობრიობის მოხმობას მოქცევისა და სახარების რწმენისაკენ. ეკლესია ითავისებს პავლე მოციქულის სიტყვებს: „ქრისტეს სახელით... ელჩები ვართ: ჩვენი საშუალებით თავად ღმერთი მოგიწოდებთ. გევედრებით ქრისტეს სახელით: შეურიგდით ღმერთს“ (*2კორ.* 5,20). იესო თავისი ცხოვრებით აუწყებს და ახორციელებს მამის გულმოწყალებას. იგი მოვიდა არა განსასჯელად, არამედ მისატევებლად და სახსნელად, თავად ტანჯვისა და ცოდვის წყვდიადშიც კი იმედის შესატანად, მარადიული სიცოცხლის მისანიჭებლად; ამგვარად სინანულის საიდუმლოში, „აღსარების წამალში“, ცოდვის გამოცდილება როდი გადაგვარდება სასოწარკვეთილებაში, არამედ ხვდება იმ სიყვარულს, რომელიც მიუტევებს და გარდაქმნის (შდრ. იოანე პავლე II, პოსტსინოდ. სამოც. ექსჰორტ. *Reconciliatio et Paenitentia*, 31).

„წყალობით მდიდარი“ ღმერთი (*ეფ.* 2,4), სახარებისეული იგავის მამის მსგავსად (შდრ. *ლკ.* 15,11–32), როდი მიუხურავს გულის კარს თავის რომელიმე შვილს, არამედ ელის მათ, ეძებს, სწვდება მათ იქ, სადაც ზიარებაზე უარი იზოლაციისა და გახლეჩის ტყვეებად აქცევს მათ, მოუხმობს მათ შემოუსხდნენ მის სუფრას, მიტევებისა და შერიგების დღესასწაულის სიხარულში. ამგვარად ტანჯვის მომენტი, რომლის დროსაც შესაძლოა გულგატეხილობისა და სასოწარკვეთილების ცდუნებამ იჩინოს თავი,

შეიძლება იქცეს მადლის ჟამად, რათა, იგავისეული უძღები შვილის მსგავსად, დავბრუნდე საკუთარ თავში, ხელახლა გავიაზრო ჩემი ცხოვრება, ამოვიცნო შეცდომები და მარცხი, ვიგრძნო მამის მკლავების მონატრება და განვვლო გზა მისი სახლისაკენ. იგი, თავისი დიდი მოწყალებით, მუდამ და ნებისმიერ პირობებში ფხიზლობს ჩვენს არსებობაზე და მოგველის, რათა მასთან დაბრუნებულ ყოველ შვილს მიანიჭოს სრული შერიგებისა და სიხარულის მადლი.

3. სახარების კითხვით ნათელი ხდება, რომ იესო მუდამ განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდა ავადმყოფებს. მან არამხოლოდ მიავლინა თავისი მოწაფეები მათ იარათა საკურნებლად (შდრ. *მთ.* 10,8; *ლკ.* 9,2; 10,9), არამედ დაადგინა კიდეც მათთვის კერძო საიდუმლო: სნეულთა ზეთის ცხება. იაკობ მოციქულის წერილი გვიდასტურებს, რომ ეს საკრამენტული ქმედება აღესრულებოდა ჯერ კიდევ ქრისტიანთა პირველ საკრებულოებში (შდრ. 5,14–16): სნეულთა ზეთით ცხებასთან ერთად, რასაც თან სდევდა ხუცესთა ლოცვა, მთელი ეკლესია ტანჯული და განდიდებული უფალის წინაშე წარადგენს ავადმყოფებს, რათა შეუმსუბუქოს მათ სატანჯველი და დაიხსნას ისინი. მეტიც, მოუხმობს მათ, სულიერად შეუერთდნენ ქრისტეს ვნებასა და სიკვდილს, რათა ამგვარად, თავადაც წაადგნენ ღმრთის ერის სიკეთეს.

ამგვარი საიდუმლო ჩვენს მზერას მიმართავს ზეთისხილის მთის ორმაგი მნიშვნელობისაკენ, სადაც იესო დრამატულად აღმოჩნდა მამისაგან ნაჩვენები გზის – ვნების გზის, სიყვარულის უზენაესი აქტის წინაშე, და მიიღო ის. ამ განსაცდელის ჟამს იგი ხდება შუამავალი, ვინაიდან: „ატარებს საკუთარ თავში, იღებს საკურ თავზე წუთისოფლის ტანჯვასა და ვნებას და გარადაქმნის მას ძახილად ღმრთისადმი, ღმრთის თვალთა წინაშე და მის ხელთ მიაქვს ის და ამგვარად გადააქცევს მას ცხონების, ხსნის მომენტად“ (*Lectio divina*, რომის სამღვდელოებასთან შეხვედრა, 18 თებერვალი 2010). მაგრამ „ზეთისხილის ბაღი არის ... აგრეთვე



ის ადგილი, საიდანაც იგი ამაღლდა მამასთან, ანუ ცხონების, ხსნის ადგილია ... ზეთისხილის ბაღის ეს ორმაგი საიდუმლო მუდმივად „მოქმედია“ ეკლესიის საკრამენტულ ზეთში ... იმ ღმერთის სახიერების, სიკეთის ნიშანში, რომელიც გვეხება ჩვენ“ (*ჰომილია*, მირონის კურთხევის წირვა, 1 აპრილი 2010). სნეულთა ზეთისცხებაში ზეთის საკრამენტული ნივთიერება მოგვეცემა, ასე ვთქვათ, „როგორც წამალი ღმრთისაგან ... რომელიც ახლა გვარწმუნებს მის სიკეთეში, რომელმაც უნდა განგვამტკიცოს და გვანუგეშოს, მაგრამ ამავე დროს, მიუხედავად ავადმყოფობის მომენტისა, მიგვავლენს საბოლოო განკურნებისაკენ, აღდგომისაკენ (შდრ. *იაკ.* 5,14)“ (იქვ.).

ეს საიდუმლო დღეს იმსახურებს მეტ ყურადღებას, როგორც თეოლოგიურ მსჯელობებში, ასევე სნეულებთან სამწყსო მოქმედებაში. ლიტურგიული ლოცვის შინაარსის უკეთ წარმოჩენით, ლოცვისა, რომელიც მიესადაგება ავადმყოფობასთან დაკავშირებულ მრავალგვარ ადამიანურ გარემოებებს, და არა მხოლოდ

მაშინ, როცა სიცოცხლის ბოლოსაა ადამიანი (შდრ. *კათოლიკე ეკლესიის კატეხიზმო*, 1514), სნეულთა ზეთისცხება, სხვა საიდუმლოებებთან შედარებით, არ უნდა მიგვაჩნდეს მეორე რიგის საიდუმლოდ. ყურადღება და სამწყსო ზრუნვა ავადმყოფებისადმი, თუკი, ერთი მხრივ, არის ღმრთის სიფაქიზის ნიშანი მათდამი, ვინც იტანჯება, მეორე მხრივ, სასარგებლოა ასევე მღვდლებისათვის და მთელი ქრისტიანული საკრებულოსათვისაც, იმის შეგნებით, რომ ის, რაც გაუკეთდა ერთს ამ მცირეთაგანს, თავად იესოს გაუკეთდა (შდრ. *მთ.* 25,40).

4. „განკურნების საიდულოთა“ შესახებ წმ. ავგუსტინე ამბობს: „ღმერთი ჰკურნავს ყოველ შენს უძლურებას. მაშ, ნუ შიშობ: ყოველი შენი უძლურება განიკურნება ... შენ ოდენ გმართებს ნება დართო მას, განგკურნოს და არ უნდა მოიშორო მისი ხელები“ (*102,5 ფსალმუნის განმარტება*: *PL* 36, 1319–1320). საუბარია ღმრთის მადლის ძვირფას საშუალებებზე, რომლებიც ეხმარება ავადმყოფს უფრო სრულად დაემსგავსოს ქრისტეს სიკვდილისა და აღდგომის საიდუმლოში. ამ ორ საიდუმლოსთან (აღსარება და ზეთისცხება—*მთარგმ.*) ერთად მინდა ხაზი გავუსვა ევქარისტიის მნიშვნელობას. ავადმყოფობის დროს მისი მიღება, განსაკუთრებული სახით მოქმედებს და მას, ვინც საზრდოობს იესოს ხორცითა და სისხლით, შეაერთებს იმ მსხვერპლს, რომლითაც მიუძღვნა მან თავისი თავი მამას ყოველთა სახსნელად. სრულიად ეკლესიის კრებული, და სამრევლო საკრებულოები, დაე, ზრუნავდნენ იმაზე, რომ მათ, ვინც ჯანმრთელობისა თუ ასაკის გამო არა აქვთ საერთო ლოცვის ადგილებში მისვლის შესაძლებლობა, ჰქონდეთ ზიარების საიდუმლოს ხშირი მიღების საშუალება. ამგვარად, ამ დებსა და ძმებს ეძლევა შესაძლებლობა განამტკიცონ კავშირი ჯვარცმულ და აღმდგარ ქრისტესთან, ქრისტესადმი მიძღვნილი თავიანთი ცხოვრებით თავად ეკლესიის მისიაში მონაწილეობით. ამ თვალსაწიერში, მნიშვნელოვანია, რომ მღვდლებმა, რომლებიც თავიანთ ფაქიზ მსახურებას აღასრულებენ სამკურნალო დაწესებულებებში თუ ავადმყოფთა ბინაზე მონახულებით, იგრძნონ, რომ არიან ნამდვილად „სნეულთა მსახურნი“, ქრისტეს თანალმობის ნიშანი და იარაღი, რომელმაც უნდა მიაღწიოს ტანჯვით დაღდასმულ ყოველ ადამიანთან“ (*უწყება ავამდყოფთა XVIII მსოფლიო დღისათვის*, 22 ნოემბერი 2009).

ქრისტეს საპასექო საიდუმლოს გათავისება, რაც შესაძლებელია აგრეთვე სულიერი ზიარების გზითაც, სრულებით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, როდესაც ევქარისტია მიეცემა და მიიღება, როგორც ვიატეკუმი (საიქიო საგზალი, უკანასკნელი, სიკვდილისწინა ზიარება—*მთარგმ.*). არსებობის ამ მომენტში კიდევ უფრო შთამბეჭდავად ჟღერს უფლის სიტყვები: „ვინც ჭამს ჩემს ხორცს და სვამს ჩემს სისხლს, აქვს საუკუნო სიცოცხ-

ლე და მე აღვადგენ მას უკანასკნელ დღეს“ (*იო* 6,54). მართლაც, ევქარისტია, განსაკუთრებით კი ვიატეკუმი არის—წმ. ეგნატე ანტიოქიელის განმარტებით—„წამალი უკვდავებისა, სიკვდილის შხამსაწინააღმდეგო“ (*წერილი ეფესელებს*, 20: *PG* 5, 661), სიკვდილიდან სიცოცხლეში, ამაქვეყნიდან მამასთან გადასასვლელი საიდუმლო, მამასთან, რომელიც ელის ყველას ზეციურ იერუსალემში.

5. ავადმყოფთა XX მსოფლიო დღისათვის ამ უწყების თემა, „ადექ და წადი; შენმა რწმენამ გიხსნა შენ!“, უმზერს აგრეთვე მომავალ „რწმენის წელიწადს“, რომელიც დაიწყება 2012 წლის 11 ოქტომბერს, კეთილსასურველი და ძვირფასი ჟამი რწმენის ძალისა და მშვენიერების ხელახლა აღმოსაჩენად, მისი შინაარსის გასაღრმავებლად და ყოველდღიური ცხოვრებით მის დასამოწმებლად (შდრ. სამოც. წერ. *Porta fidei*, 11 ოქტომბერი 2011). მწადია მოვუხმო ავადმყოფებსა და ტანჯულებს, მუდამ პოვებდნენ სანდო ღუზას ღმრთის სიტყვის სმენით, პირადი ლოცვითა და საიდუმლოთაგან ნასაზრდოებ რწმენაში, და ამავე დროს მოვუხმობ მწყემსებს, სულ უფრო მზად იყვნენ აღასრულონ ეს საიდუმლონი სნეულთათვის. კეთილი მწყემსის მაგალითისამებრ და როგორც მათთვის მინდობილი სამწყსოს მეგზურნი, მღვდელნი, დაე, იყვნენ სიხარულით აღვსილნი, მზრუნველნი ყველაზე სუსტების, მცირეთა, ცოდვილთა მიმართ, რათა იმედის გამამხნევებელი სიტვებით გამოხატონ ღმრთის უსასრულო გულმოწყალება (შდრ. წმ. ავგუსტინე, *95 წერილი*, 1: *PL* 33, 351–352).

ყველა მათ, ვინც მოღვაწეობს ჯანდაცვის სფეროში, ისევე, როგორც ოჯახებს, რომლებიც საკუთარ წევრში ხედავენ უფალი იესოს ტანჯულ სახეს, განვუახლებ ჩემსა და ეკლესიის მადლობას, რადგან პროფესიული კომპეტენტურობითა და დუმილით, ხშირად ქრისტეს სახელის ხსენების გარეშეც, მას აცხადებენ ხელშესახებად (შდრ. *ჰომილია*, მირონის კურთხევის წირვა, 21 აპრილი 2011).

მარიამს — გულმოწყალების დედასა და სნეულთა მკურნალს— მივაპყრობთ ჩვენს იმედით სავსე მზერასა და ვედრებას; მისი დედობრივი თანალმობა, რაც მან განიცადა ჯვარზე მომაკვდავი შვილის გვერდით, დაე, თან სდევდეს და შეეწეოდეს ყოველი ავადმყოფისა და ტანჯულის რწმენასა და იმედს ხორცისა და სულის იარათა განკურნების გზაზე.

ვპირდები ყველას ჩემს ლოცვებში მოხსენიებას და თითეულს ვუძღვნი საგანგებო სამოციქულო ლოცვას.

ვატიკანიდან, 2011 წლის 20 ნოემბერი, ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს, სამყაროს მეფის დიდდღესასწაული.

ბენედიქტე PP XVI

თარგმნა **მ. აკაკი ჭელიძემ**

„ზუბალაშვილები ეროვნული მრეწველობისა და მეცენატობის სათავეებთან“

ზუბალაშვილების ნავთობკომპანიის ადმინისტრაციული შენობა ბაქოში, 1880–იან წლებში.

მიმდინარე წელს, ფრიად მნიშვნელოვანი წიგნი დაიბეჭდა ერთი კათოლიკე ქართველის ოჯახის შესახებ; წიგნის სათაურია: ***„ზუბალაშვილები ეროვნული მრეწველობისა და მეცენატობის სათავეებთან“.*** ავტორი გახლავთ პროფესორი ჟ. ფეიქრიშვილი; წიგნში გამოკვეთილია ზუბალაშვილების გვარისა და, განსაკუთრებით, მისი რამდენიმე წარმომადგენლის, მოღვაწეობის მნიშვნელობა; ესენი არიან: კონსტანტინე ზუბალაშვილი (წიგნში მას 88 გვერდი ეთმობა), ლევან ზუბალაშვილი (101 გვ.), სტეფანე ზუბალაშვილი (114 გვ.). ვაქვეყნებთ ეპიზოდს ამ წიგნიდან, სადაც მრავალ საერთოს ვპოულობთ 2007 წელს, ამერიკაში გამოცემულ წიგნთან: ***„ნავთობი და დიდება“***, რომელიც, გარკვეულწილად, დაგვეხმარება იმ რეალობის შეცნობაში, რაშიც ამ პერსონაჟებს უწევდათ მოღვაწეობა, და ასევე მათ, როგორც ინდუსტრიის დიდ წარმომადგენელთა, გაცნობაში. ისეთ პიროვნებათა გვერდით, როგორებიც იყვნენ *ნობელები, როტშილდები, როკფელერები...* – ისინი, ვინც ამ ისტორიულ დროში ამ ზონაში მოღვაწეობდნენ, როდესაც კავკასიაში ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად ერთმანეთს ეცილებოდა დიდი ბრიტანეთი და რუსეთი, ხოლო შემდგომ აშშ, ნავთობის გლობალური ინდუსტრიის მოდერნიზაციის მიზნით, – სავსებით შეიძლება მოთავსდეს ზუბალაშვილების გვარი, თუნდაც განსხვავებულ კონტექსტში. ამ მოვლენებში ყველაზე მარტივი დროის უპირატესობაა: 1864 წელს (იხ. გვ. 90 და შემდ.) კონსტანტინე ზუბალაშვილი ბაქოში ჩადის, ხოლო 1873 წელს ცარისტული რუსეთის სახელით იქ ლუდვიგ და რობერტ ნობელები ჩადიან. ერთგვარ კურიოზად რჩება ის ფაქტი, როცა კონსტანტინემ ლურდიდან წამოღებული წმიდა წყლით ნავთობი აღმოაჩინა; ნობელი კი თავის ექსპერტ გეოლოგებთან ერთადაა... ამასობაში ბათუმის სანაოსნო ქალაქი, სარკინიგზო მაგისტრალის ბაქო-ბათუმის გაყვანის შემდეგ, მსოფლიოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან საპორტო ცენტრად იქცა როტშილდებისა და ნობელების ხელში, რომლებიც ევროპის ბაზარზე ექსპორტისათვის პირობებს ქმნიან; სწორედ ამ ქალაქში ზუბალაშვილებმა კათოლიკური ტაძარი ააგეს, რომელიც მთელ კავკასიაში ყველაზე დიდი და ლამაზი ეკლესია გახდა. შეუძლებელია, ამ პიროვნებებთან მათ კონტაქტი არ ჰქონოდათ. ნამდვილად საინტერესოა, რა სახის კონტაქტი იყო ეს.

ჟ. ფეიქრიშვილის წიგნში ხაზგასმულია კიდევ ერთი საინტერესო შტრიხი, ეს გახლავთ ამ ოჯახის კათოლიკე წარმომადგენელთა მორალი, პრინციპები, სულიერება, რაც მათ საქმიანობას ასაზრდოებდა, და რასაც ნათელი ეფინება ქართული საზოგადოების სხვადასხვა სფეროში მათი მრავალმხრივი მოღვაწეობით. კათოლიკე ეკლესია ამ პერიოდში ახალ-ახალ გამოწვევებზე ეძებს პასუხებს და ამას ხორცს ასხამს სოციალური სწავლების პრინციპების ჩამოყალიბებით (1891 წ. პაპი ლეონ XIII აქვეყნებს ენციკლიკას *Rerum novarum – ახალი საქმეები*), და ასევე, არცთუ მცირე კათოლიკური ჯგუფის მოღვაწეობის გზით, სხვადასხვა სარბიელზე მოღვაწე როგორც საერო, ასევე სასულიერო პირების დახმარებით. ამ ცნობილ პიროვნებათა შორის, რომლებიც კათოლიკე ეკლესიამ წმიდანად აღიარა: წმ. იოანე ბოსკო, წმ. ლუიჯი ორიონი, წმ. ჯუზეპე კოტოლენგო, წმიდა ფრანჩესკა კაბრინი, ნეტარი ჯუზეპე ბალდო... მათ გრძელ სიაში, რომლებმაც თავიანთი ცხოვრება ამ პერიოდში საქველმოქმედო და სამართლიანობის მსახურებას დაუთმეს, მთელი თავიანთი სიცოცხლე სიღატაკის ახალი ფორმების დაძლევას და ქუჩის ახალგაზრდებთან, მუშებთან, ემიგრანტებთან, ქალბატონებთან მუშაობას შეალიეს..., რატომ არ უნდა მოთავსდეს ზუბალაშვილების გვარიც? როდესაც მათ მოღვაწეობას გადავხედავთ, ძნელია, არ გავითვალისწინოთ არსებული რეალობა, კათოლიკე ეკლესიის მხრიდან გამოჩენილი გულისხმიერება, მათივე მოძღვრების სახით, რამაც, უეჭველია, გარკვეული როლი ითამაშა მათ პიროვნულ ჩამოყალიბებაში, და იმ ფორმაში, რითაც მათ ბიზნესის სფეროში ადგილი დაიმკვიდრეს. უმნიშვნელოვანესია, რომ მომავალში ამ ასპექტსაც შეეხონ ისტორიკოსები. ყველაფერი ეს ის ეპიზოდებია, რაც პროგრესულად გამოკვეთს ამ ქვეყანაში კათოლიკე ეკლესიის არსებობის ხარისხს. მამა მ. თამარაშვილს რომ ჩვენს დროში ეცხოვრა და დღეს დაეწერა თავისი „პასუხი“, – ცხადია, არა სომხებისთვის, როგორც მაშინ, – მათთვის, ვინც აძაგებს, ან ვისაც სურს, უარყოს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში კათოლიკე ეკლესიის არსებობა, უსათუოდ სამაგალითო ნიმუშად მოიშველიებდა ზუბალაშვილების ცხოვრებას, საქმიანობასა და სულიერებას.

ბაქო: თეთრი, შავი და წითელი ქალაქი

შავმა ოქრომ უბედურება მოუტანა კავკასიას. ნავთობი, რომელიც უხვად მოიპოვება კავკასიონის მთათა სისტემის ჩრდილოეთით მდებარე დაბლობში და ბაქოსთან ახლოს, კასპიის ზღვის სანაპიროებზე, საუკუნეების მანძილზე უბრალო ცნობისმოყვარეობას აღუძრავდა მოგზაურებს, მაგალითად, მარკო პოლოს; ეს იყო განსაკუთრებული თვისებებით გამორჩეული ნივთიერება, – როგორც აღნიშნა ფრანგმა მწერალმა და მოგზაურმა ალექსანდრე დიუმამ. აი, რას წერს კავკასიაში სამთვიანი მოგზაურობის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებული მწერალი: „ნავთი არის ქვის ზეთი, ნავთობი, პეტროლიუმი, მარად აალებადი, რაფინირების შემდეგ მსუბუქი და გამჭვირვალე, ჰაერში ცუდი სუნის სქელ კვამლს ტოვებს... მას იყენებენ ტიკების გასაზეთად, რომლებითაც ღვინო გადააქვთ. ის ღვინოს განსაკუთრებულ გემოს აძლევს, რაც ღვინის მოყვარულებს ძალიან მოსწონთ, თუმცა მე ვერანაირად ვერ მივეჩვიე მას. ასევე იყენებენ ტანკების ბორბლების გასაპოხად, რაც ტანკისტებს თავიდან აცილებს ღორის ქონის გამოყენებას, რის მიმართაც ისინი ზიზღს გამოხატავენ, რამდენადაც უმრავლესობა მუსულმანია“.

XIX საუკუნეში, „მიწის ზეთის“ ენერგეტიკული ღირებულების აღმოჩენამ ერთ დღეში შეცვალა ქალაქი ბაქო. მანამდე კი, ქალაქის შემოგარენში აღმოჩენილი ეს შავი ლაფი და შავი თხევადი შადრევანი მაგნიტივით იზიდავდა ინვესტორებს, პოლიტიკოსებს და სამხედროებს; თანამედროვე აზერბაიჯანი აღიარებას უნდა უმადლოდეს თავის გეოგრაფიულ მდებარეობას, რითაც იგი ერთგვარი სავალდებულო გასასვლელი იყო აბრეშუმის გზით აზიასთან დასაკავშირებლად და, ასევე, თავის ცნობილ და უზადო ხალიჩების წარმოებას. ჯერ კიდევ მარკო პოლო თავის წიგნში – „მილიონი“ წერდა, რომ „აქ ქმნიან მსოფლიოში ულამაზეს ნაირფერ ხალიჩებს და აბრეშუმის ნაწარმს“.

ბაქოს ბობოქარი ისტორია სიბნელიდან იღებს სათავეს, ანუ, უფრო სწორად, იმ მოციმციმე სინათლის მავთულიდან, რომლითაც სიბნელეში კერასინის პირველი ლამპარი აინთო. რვაასიან წლებში კანადაში ნავთობის რაფინირების ახალი მეთოდი შეიმუშავეს, რომელიც საშუალებას იძლეოდა, გამხდარიყო ნავთობი განათებისათვის იდეალური წყარო. ეს იყო ტექნოლოგიური რევოლუცია, რომელმაც მთელი მსოფლიოს ბედი შეცვალა. სინათლის ამ ახალმა წყარომ მაშინვე გაიჩინა თავისი მიმდევრები: მამაცი ადამიანები და მეწარმეები, რომლებსაც ერთგვარი წოდებაც კი შეურჩიეს – „XIX საუკუნის ილუმინისტები“. ამ ახალი საქმიანობის ყველაზე თვალსაჩინო გვარის წარმომადგენლები არიან *ნობელები.*

სწორედ ამ წლებში, ლუდვიგ ნობელი, რუსეთში ემიგრირებული შვედი გამომგონებლის ოთხი შვილიდან ერთერთი, ჰელსინკში, ფინეთის მომავალ დედაქალაქში (მაშინ ჯერ კიდევ რუსეთის ზედამხედველობის ქვეშ მყოფი) ხსნის მაღაზიას სახელწოდებით – „ავრორა“, სადაც განათებისთვის საჭირო მასალებს ყიდის. ინდუსტრიულ შკალაზე ამ საქმიანობის მუხტი მისი ძმის, რობერტის 1873 წელს კავკასიაში მოგზაურობიდან წამოვიდა. ლუდვიგმა, მამამისის, ემანუელეს რეპუტაციის (სანკტ-პეტერბურგში იარაღის მწარმოებელი) წყალობით, რუსულ არმიას გამოსტყუა კონტრაქტი 5000 ერთეული იარაღის მიწოდებაზე. რობერტ ნობელი იარაღისთვის საჭირო კაკლის ხის მასალის მოსაძიებლად კავკასიაში გაეშურა. მართალია, რობერტი ხის გარეშე დაბრუნდა, მაგრამ მან თავის ძმას კოლოსალური მოგების მომტან აღმოჩენაზე აუწყა: ეს იყო ნავთობი. რობერტმა ძმას 25 000 დოლარი გამოართვა და ისევ კასპიის ზღვისკენ გაეშურა; იგი ბაქოში „შავი ოქროს ციებ-ცხელებით“ ჩავიდა. მან შეიძინა ჭაბურღილები და რაფინატორები. უკვე ერთ წელიწადში პირველი ჭაბურღილი ამოქმედდა. შვიდი წლის შემდეგ კი მათი რიცხვი 300-მდე გაიზარდა. ასე დაიბადა ერთი პატარა იმპერია, რომელმაც სულ მოკლე დროში მთელი პლანეტის 1/5 ნავთობი აწარმოა!

ნობელებს სამეწარმეო ალღო კარნახობდა, რომ მათი მთავარი პრობლემა ნავთობის წარმოებაში, მთელ რუსეთსა და ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, კლიენტებისთვის დაუმუშავებელი ნავთობის ტრანსპორტირება იქნებოდა. ასე შეიქმნა პირველი მილსადენები, ნობელები ფულს აბანდებდნენ სარკინიგზო, სამდინარო და საზღვაო ტრანსპორტში, მოსკოვისა და პეტერბურგის მიმართულებით. 1881 წელს, ნობელების მიერ შვედეთში შეკვეთილი ნავთობმზიდი „ზოროასტრა“ ბაქოს პორტში შედის და პირველი ტვირთი გადააქვს.

ძმები ნობელები გიგანტური ენერგეტიკის სათავეში მოექცნენ. რობერტი ბაქოში უძღვებოდა საქმეებს, ლუდვიგი კი პეტერბურგში. მათ გვერდში ამოუდგა უმცროსი

ძმა ალფრედი, დინამიტის გამომგონებელი, ერთ-ერთი უმდიდრესი ფინანსისტი. ასე დაიბადა რუსული საზოგადოება „Branobel"-ი.

თუმცა ბაქოს ნავთობისადმი აშშ-მაც გამოხატა ინტერესი და *branobel-მა* სულ მალე როკფელერების ოჯახის (როკფელერი, მულტიმილიარდელი) კომპანიას – „Standard Oil"-ს გაუწია კონკურენცია, მოგვიანებით, დაყოფის შემდეგ, ის სახელს შეიცვლის, ჯერ იწოდება, როგორც E"S.O.", მერე კი Exxon.

ბაქოში, *ბრანობელი*, თავისი 30.000 ხელქვეითისადმი გამოჩენილი გულისხმიერებით გამოირჩეოდა. ხელშეკრულების საფუძველზე, საწარმოს შემოსავლის 40% ხელქვეითებს გადაეცემოდა ხელფასის სახით, ან სოციალური დახმარების ფორმით. ნობელებმა ბაქოს ამაღლებულ გორაკზე ახალი უბანი გააშენეს, სადაც საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლებს მასპინძლობდნენ. ეს იყო გადამხმარ გორაკებს შორის მოქცეული მწვანე წალკოტი – *ციტადელი*, რომელიც იმ დროისათვის ავანგარდული კრიტერიუმებით იყო მოწყობილი: ელექტროობა, სასმელი წყალი, აბაზანები, რესტორანი, ბიბლიოთეკა, საბალო და საბილიარდო დარბაზი. შენობის ყველა ფანჯარა ზღვას გადაჰყურებდა. ამ უბანს მაშინვე შეარქვეს „თეთრი ქალაქი", განსხვავებით „შავი ქალაქისგან": გულისამრევი ნავთობის ჭებით, არხებითა და გადამზიდი გემებით.

„თეთრი ქალაქი", თავისი კეთილმოწყობილი სარეზიდენციო და საქმიანი უბნებით, ცხრაასიანი წლების დასაწყისში კასპიის სანაპიროზე გადაიჭიმა, ხოლო „შავი ქალაქი", თავისი ბარაკებით, ნავთობსარეწის შემოგარენში იზრდებოდა, ხალხი კი უკიდურეს სიღატაკეში ცხოვრობდა. სოციალურმა უთანასწორობამ შექმნა ბომბი, საათის მექანიზმით, რომლის აფეთქებასაც რადიკალი ბოლშევიკები რამდენიმე წლის შემდეგ შეძლებენ, როდესაც ბაქო, თავის მცხოვრებთა 10.000-დან 150.000-მდე გაზრდილი რიცხვით, ხმაურიან მეტროპოლიად გადაიქცევა.

ამასობაში, „თეთრი ქალაქი" მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის. ნობელისა და როკფელერების შემდეგ, ბაქოში ჩამოდის *როტშილდების* ოჯახი, ებრაული წარმოშობის, ფრანგი ბანკირების ცნობილი ოჯახი. მათ რამდენიმე ნავთობის ჭაბურღილი შეიძინეს და ნედლეულის ზღვით ტრანსპორტირების საქმე რომ მოეგვარებინათ, ორი ძმა, მარკუსი და სამუელი ერთმენთს შეეკრა, მათ მამის საქმიანობა განაახლეს: ორნამენტული ნიჟარების კომერცია. ნიჟარა მყისვე ახალი საზოგადოების – Shell-ის სიმბოლო ხდება, რომელიც ექსკლუზიურად ემსახურებოდა ნავთობის კომერციას და მის ტრანსპორტირებას.

როტშილდებმა თავისებურად დაძლიეს ტრანსპორტის უდიდესი პრობლემა. ისინი აფინანსებენ ორი რუსი ინჟინერის პროექტს, სარკინიგზო ხაზის ასაგებად, რომელიც, საქართველოს გავლით, ბაქოს შეაერთებდა ბათუმთან. 1883 წელს ნედლეულით სავსე პირველი სატვირთო ვაგონები ბათუმში შედის. საგულისხმოა, რომ ეს სარკინიგზო მიმოსვლა 125 წლის შემდეგაც ხორციელდება.

ცხრაასიანი წლების დასაწყისში ბაქო, ფაქტობრივად, მსოფლიო ენერგეტიკის მთავარ ონკანად იქცა. კასპიის ნედლეულის უპირატესობას ვერც თანამედროვე ტექნოლოგიები აკლებენ რამეს. ქაოსი, რომელიც ელექტროობის დანერგვამ გამოიწვია, და რამაც დაასამარა კერასინით განათება, მაშინვე დამთავრდა, როცა ძრავა გამოიგონეს და ამერიკელი ინჟინერის, ჰენრი ფორდის წყალობით დაიწყეს საავტომობილო ინდუსტრიის წარმოება.

კერასინიდან რაფინირებულ ბენზინზე გადავიდნენ: საქმეები გაცილებით უკეთ წარიმართა.

ნობელებმა ბერლინში, მაშინ სრულიად უცნობი ინჟინერის, *რუდოლფ დიზელისაგან* შეიძინეს მისი სახელობის ძრავის პატენტი. მათ უფლება მოიპოვეს, ეს ახალი გაზოილი რუსეთის მთელ ტერიტორიაზე გამოეყენებინათ. ახალი სისტემა *ნობელებმა* საკუთარ ნავთობსარეწ გემებზე გამოსცადეს. ერთი შეხედვით, საქმე საოცარი წარმატებით მიიწევდა წინ, მაგრამ ნედლეულთან ერთად, კასპიის ზღვის ნავთობის ჭებიდან „ქაოსიც" იწყებს ამოხეთქვას. 1903 წლის ივლისში აუტანელი სამუშაო პირობებით აღშფოთებული ნავთობგადასამუშავებელი ინდუსტრიის მუშახელი, გენერალურ გაფიცვას აწყობს, რასაც ნედლეულის წარმოების ტოტალური დაბლოკვა მოჰყვება.

იმპერიალისტური რუსეთის ცენზურა ინფორმაციის გავრცელებას ახშობს, ხანძრების სერია ნავთობის ექსტრადაციას აფერხებს. ამ პერიოდში *ბრანობელების* ჯგუფიც დიდ დარტყმას განიცდის: ლუდვიგ ნობელი, ბრანობელის ერთგვარი ძრავა და ტვინი, სულ რაღაც 57 წლის ასაკში დაიღუპა.

როდესაც ფრანგული გაზეთი ლუდვიგ ნობელის გარდაცვალების ინფორმაციას ავრცელებს, სტატიაში მას ძმასთან, ალფრედთან (დინამიტის გამომგონებელი) ადარებს და მის ნეგატიურ პორტრეტს ხატავს. ძმის დაკარგვით გულშეძრულ ალფრედს ტკივილს უფრო მეტად უმძაფრებს ის ფაქტი, რომ მას სახალხოდ უწოდეს „სიკვდილის ინდუსტრია". ეს მისთვის მძიმე დარტყმა იყო, რამაც მას უბიძგა, დაეწერა ანდერძი, სადაც, გარდაცვალებიდან შვიდი წლის შემდეგ, მისი შვილიშვილები გაეცნობიან მის გადაწყვეტილებას, რომ ყველაფერი დაუტოვონ ფონდს, რომელიც ყოველწლიურად დააჯილდოვებს კაცობრიობის სასიკეთოდ მიმართულ დიდ გამოგონებებს და მშვიდობისათვის მებრძოლ, გამორჩეულ პიროვნებებს. ბაქოს ნავთობი, მართალია, ამ საკითხში პირდაპირ არ ფიგურირებს, მაგრამ გარკვეულ როლს თამაშობს ნობელის ცნობილი პრემიის დაარსებაში.

ერთმანეთს მოსდევს და უფრო და უფრო რადიკალურ სახეს იძენს გაფიცვები, განსაკუთრებით ერთი პერსონაჟის, წარმოშობით ქართველის – სტალინის წინამძღოლობით, რომლის ჩრდილი ათწლეულების მანძილზე მძიმედ დააწვება მთელ კავკასიას.

„შავი ქალაქი" გადაიქცევა „წითელ ქალაქად", რაც წლების მანძილზე განსაზღვრავს რეგიონის სოციალურ და პოლიტიკურ უთანასწორობას. ბაქოსთვის მხოლოდ აღშფოთებული მუშები როდია თავსატეხი. 1905 წლის გაზაფხულზე, აზერბაიჯანელებსა და სომხებს შორის დაძაბული პერიოდის შემდეგ, პირველი ეთნიკური დაპირისპირება მოხდა რეგიონში: 2000 დაღუპული.

ძმები ნობელები

დროებითი სიმშვიდის შემდეგ, რამდენიმე თვეში შეტაკება კიდევ უფრო მძლავრად იფეთქებს. ასობით ჭაბურღილი გადაწვეს, 2/3 ნავთობსაშენი ქარხნებისა დაინგრა.

ამასობაში დიდი ომი დამთავრდა და აზერბაიჯანი თურქებს რომ არ ჩაეგდო ხელში, ბაქო და მისი შემოგარენი ბრიტანეთის მფარველობის ქვეშ გადავიდა.

ინგლისური ეპოქა დიდხანს ვერ გაგრძელდა. 1919 წლის ზაფხულზე გამარჯვებული ძალები პარიზში შეიკრიბნენ და პირველი მსოფლიო ომის ნადავლი გაინაწილეს: აზერბაიჯანი, დიდი ბრიტანეთის წინაშე ყოველგვარი ვალის გარეშე, თავის დამოუკიდებლობას ინარჩუნებს.

თუმცა ჩრდილოეთიდან ახალი, „წითელი ფერის“ მუქარა წამოვიდა. 1919-1920 წლების ზამთარში უკვე კრემლის გალავანთან მისული ლენინი და მისი თანამოაზრეები აცნობიერებენ, რომ მათი გამარჯვება ბევრად იქნება დამოკიდებული ენერგეტიკის წყაროზე. ლენინი პირადად ახდენს ზეწოლას კავკასიის ფრონტის მეთაურებზე და აფრთხილებს მათ, რომ რევოლუციისთვის ალტერნატივა არ არსებობს: ან კავკასიის ნავთობი, ან დამარცხება.

1920 წლის გაზაფხულზე ბოლშევიკური მოძრაობის წითელი ტალღა კასპიის ზღვამდე გავრცელდა. აპრილის დასაწყისში გროზნო რევოლუციონერთა ხელში გადავიდა.

აქამდე რამდენიმე დღით ადრე კი *ნობელებმა* მთელი თავიანთი ქონების ამერიკულ Standard Oilis-თვის მიყიდვა შეძლეს. ამავე თვის მიწურულს, წითელი არმია ბაქოში შედის და მთელ კავკასიაში, ნავთობის პროდუქციის ნაციონალიზაციის მიზნით, გზებს ათავისუფლებს.

მაშინ მსოფლიოს წამყვანი ძალები ბოიკოტს უცხადებენ „წითელ ნავთობს“. ბაქო „დაჩოქილია“: ოთხიდან ერთი ჭაბურღილიც კი არ მუშაობს. ფრთხილად, მაგრამ მაინც დაიწყო საქმემ წინსვლა და ეს შავ ბაზარზე ნედლეულის გასაღებით მოხდა, მაგრამ სტალინის (რომელსაც უკვე გაეთქვა სახელი, როგორც *ფოლადის კაცს*) – მკაცრი მუშტის ბრახუნი კვლავ გაისმა. ქართველი ზედმიწევნით იცნობდა რეგიონის მექანიზმებს და 1932 წელს გასცემს კიდეც ბრძანებას ბაქო-ბათუმის მილსადენის სასწრაფო დაკეტვაზე, რომლის რეალიზება საუკუნის დასაწყისში რუსი მეცნიერის, მენდელეევის აქტიურობით მოხდა. სამაგიეროდ, აიგო ახალი არხი ჩრდილოეთისკენ, დაღესტანისა და რუსეთის მიმართულებით. სწორედ აქეთკენ უნდა წასულიყო ნავთობის ყოველი წვეთი!

მხოლოდ ამ რეგიონის ისტორიისა და გეოპოლიტიკური მდგომარეობის შესწავლის შემდეგ, შეგვიძლია შევაფასოთ ნავთობისა და მთლიანად ნავთობსადენის მნიშვნელობა, რომელსაც მომხმარებლამდე მიაქვს ნედლეული.

წითელი ბოლშევიზმის შემდეგ, შავი ნაციზმი კიდევ ერთხელ დაემუქრა ბაქოს. 1942 წელს, გერმანიის ჯარები კავკასიას კონკრეტული მიზნით უტევდნენ: მათი სამიზნე კასპიის ნავთობი იყო. ახალი კონფლიქტის გარიჟრაჟზე, ბაქო საბჭოეთის ნავთობის 90%-ს აწარმოებდა და მესამე რაიხის საომარი მანქანა, ამ ნადავლის უკმარისობის გამო, სწორედ აქ უნდა შეჩერებულიყო. ეს ძალზე მსუყე ლუკმა იყო გერმანული ამბიციისთვის. ჰიტლერმა ბაქოზე შეტევის თარიღიც დაასახელა: 1942 წლის 25 სექტემბერი. გამარჯვებაში ცალსახად დარწმუნებული გერმანელი გენერლები, დაბადების დღეზე ფიურერს კავკასიის ფორმის ტორტს უძღვნიან. ჰიტლერი, რომელიც იმ წუთებში მაშინდელმა სინემატოგრაფმა და ფოტოკამერამ უკვდავი გახადა, ამაყად აჭრის ტორტს იმ ნაწილს, რაზეც წერია: ბაქო.

სწორედ ამ დღეებში იბლოკება გერმანიის შეტევა კავკასიაზე. ბაქო რუსეთს რჩება ოთხმოცდაათიან წლებამდე, ვიდრე საბჭოეთი არ დაინგრა. ახალი ათასწლეულის გარიჟრაჟზე, აზერბაიჯანის დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელმაც სომხეთთან ომი გადაიტანა, მთელი პლანეტის ენერგეტიკულ ბაზარზე გაიჭრა.

ჰიტლერის ნასურვები ტორტის ნაჭერი კვლავაც უღვიძებს მადას ზესახელმწიფოებს, რომლის თავშიც აშშ დგას. ამერიკის პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა სამგზის მოინახულა აზერბაიჯანი. ორივე ქვეყანამ კარგად იცის, რომ კავკასიის ნავთობი ჯერ კიდევ უკავშირდება ტრანსპორტირების საკითხს. შედეგი კი: ნავთობსადენი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი, ანუ მსოფლიოში ცნობილი, როგორც BTC, XX საუკუნის ბოლოს, ერთ-ერთი ყველაზე დიდი მიღწევაა. 1800 კილომეტრის ნავთობსადენი აზერბაიჯანულ ნავთობს, მთელი საქართველოს გავლით, შავი ზღვის სანაპიროზე, თურქეთში ეზიდება; ქვეყანა, რომელიც, რუსეთთან 2008 წლის კონფლიქტის შემდეგ, ყველაზე დიდ დახმარებას იღებს მთელ მსოფლიოში ამერიკული პრო-კაპიტალიდან, ისრაელის შემდეგ.

„დიდი თამაში“ ამჟამად ამ მილსადენებს იღებს მიზანში. ეს არის სასიცოცხლო არტერია, რომელიც სისხლს აწვდის ჩვენი ენერგეტიკული სისტემის გულს, ჩვენს მანქანებს, გათბობის სისტემას და ჩვენს თერმო-ელექტრო სადგურებს.

მოამზადა
მამა გაბრიელე ბრაგანტინიმ

ლოცვა ქრისტიანთა ერთობისათვის 2012 წელს

ქრისტიანული ეკლესია ჩამოყალიბების პირველი საუკუნეებიდანვე მწვავედ განიცდიდა ერთიანობის დარღვევის პრობლემას. მრავალი სხვადასხვა სწავლება თიშავდა და ერთმანეთს უპირისპირებდა რომის იმპერიაში აღმოცენებულ პირველ ქრისტიანულ საკრებულოებს. იმპერატორმა კონსტანტინემ 325 წელს პირველი კრების მოწვევაც იმიტომ დაავალა ქრისტიან მამებს, რომ იმპერიაში მოქმედ ყველა საკრებულოს ერთიანი მრწამსი და სწავლება გაეზიარებინა, თუმცა, განსხვავებული სწავლებანი მაინც არ გამქრალა, პირიქით, უფრო ფართო მასშტაბები მიიღო.

მიუხედავად მრავალი პოლიტიკური, სოციალური თუ სხვა ფაქტორისა, რაც განაპირობებს ქრისტეს ერთიანი ეკლესიის დანაწევრებას, და რისი ერთადერთი მიზეზიც ადამიანური ამბიციებია, სხვადასხვა ეკლესიათა მღვდელმთავრები ცდილობენ, გადადგან ნაბიჯები ეკლესიათა დასაახლოებლად. ერთიანობის ამ სურვილმაც სერიოზული ტრანსფორმაცია განიცადა. თუ თავიდან ფიქრობდნენ, რომ ეს ერთიანობა რომელიმე, მაგალითად, კათოლიკე ეკლესიის წიაღში უნდა განხორციელებულიყო, დღეს ასე არავინ ფიქრობს, რადგან დარწმუნდნენ, რომ ამგვარ გაერთიანებას არანაირი პერსპექტივა არ გააჩნია. მრავალფეროვნება არის და უნდა იყოს. ეს მრავალფეროვნება ამდიდრებს საზოგადოებას. და როგორც გასულ წელს, თბილისის კათედრალში სტუმრობისას, საქართველოს პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ „მრავალფეროვნება ეს საქართველოს ძლიერებაა“, ასევე, ქრისტიანულ ეკლესიათა მრავალფეროვნება, ეს საერთო ქრისტიანული კონფესიის ძლიერებაა.

ქრისტიანთა ერთობისადმი მიძღვნილი ლოცვის კვირეული საბჭოთა რეჟიმის დროსაც აღინიშნებოდა ყოველწლიურად თბილისის წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ტაძარში. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ამ ტრადიციამ ახალი სახე შეიძინა და ეკუმენურ ლოცვაში, კათოლიკეებთან ერთად, ევანგელურ-ლუთერული, სომხური სამოციქულო და ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიებიც მონაწილეობენ. ამ ერთიანობის ლოცვის კვირეულის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხილულ ნიშანს ის ფაქტი წარმოადგენს, რომ ყოველ წელს ერთობლივ ლოცვას მორიგეობით მაპინძლობენ ზემოთ ჩამოთვლილი ეკლესიები. ერთობლივ ლოცვებში ორგანიზაციულად არ მონაწილეობდა მართლმადიდებელი ეკლესია, მაგრამ ცალკეული მართლმადიდებელი მღვდელმსახურები და მორწმუნეები იღებდნენ მონაწილეობას, ესწრებოდნენ მთავრობის წევრები, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები. ბოლო წლებში ხელისუფლების დაინტერესებამ იკლო.

2012 წელს ერთობლივ ლოცვას მასპინძლობდა კათოლიკური ეკლესია. ერთობლივი ლოცვის კვირეულის დაწყებამდე, საკვირაო წირვისას, ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ კათედრალის მრევლს შეახსენა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ქრისტიანთა ერთობას, მოუწოდა ყველას ამ კვირის მანძილზე აუცილებლად ელოცათ ქრისტიანთა ერთობისათვის. „ილოცეთ, რათა ეკლესიები იყვნენ ერთიანი ქრისტეში და, ამავე დროს, შეინარჩუნონ თავიანთი მრავალფეროვნება“, – ამგვარი მოწოდებით დაასრულა თავისი გამოსვლა ეპისკოპოსმა.

წლევანდელი ეკუმენური ლოცვის დევიზი გახლდათ პავლე მოციქულის სიტყვები: „ყველანი შევიცვლებით... რომელიც გვაძლევს ძლევას ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ“ (I კორ. 15. 51,57). 20 იანვარს, თბილისის კათოლიკური კათედრალი, ერთიანობის ლოცვის დაწყებამდე, აივსო სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენლებით, 16 საათზე ტაძარში, საეკლესიო საგალობლის ფონზე, შემოვიდნენ ლოცვაში მონაწილე სასულიერო პირები: მაღალყოვლადუსამღვდელოესი, ეპისკოპოსი ვაზგენი, საქართველოში სომხური სამოციქულო ეპარქიის მმართველი; ეპისკოპოსი, მისი მოწყალება დოქტორი ჰანს-იოაჰიმ კიდერლენი, საქართველოში ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის ეპისკოპოსი, საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის ეპისკოპოსები: მერაბ გაფრინდაშვილი, ილია ოსეფაიშვილი და რუსუდან გოცირიძე; მისი ყოვლადმაღალუსამღვდელოესობა, ეპისკოპოსი იოსები (ჯუზეპე) პაზოტო, საქართველოში ლათინური წესის კათოლიკე ეკლესიის სამოციქულო ადმინისტრატორი. ლოცვაში მონაწილეობას იღებდნენ ასევე სომხურ-კათოლიკური ეკლესიის სამღვდელოება და მორწმუნეები.

შესავალი ლოცვების შემდგომ, რომელიც მორიგეობით ქართულ, გერმანულ, სომხურ ენებზე წარმოთქვეს მსახურებაში მონაწილე ეპისკოპოსებმა, წაიკითხეს სპეციალურად ამ ეკუმენური ლოცვისათვის შერჩეული საკითხავები წმინდა წერილიდან. ლოცვაში მონაწილე ოთხივე ეკლესიის გუნდი ასევე მორიგეობით ასრულებდა საგალობლებს ქართულ, სომხურ და გერმანულ ენებზე. ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ, როგორც მასპინძელი ეკლესიის მწყემსმთავარმა, ქადაგებით მიმართა ტაძარში შეკრებილ საზოგადოებას. ეპისკოპოსმა, ქადაგების დროს, ყურადღება გაამახვილა ქრისტიანულ სიყვარულზე, სხვადასხვა აღმსარებლობის ქრისტიანთა შორის ურთიერთპატივისცემაზე. „სხვადასხვა ეკლესიების წარმომადგენლებმა არ უნდა განვიკითხოთ ერთმანეთი“,

▶ 14 ᲒᲒ.

◀ 13 ᲒᲒ. – ეს ფრაზა გახლდათ ეპისკოპოსის ქადაგების ძირითადი მესიჯი ეკუმენურ ლოცვაში მონაწილე ეკლესიათა წარმომადგენელთათვის, და არა მხოლოდ მათთვის. მართლაც, გაუგებრობა, დაპირისპირება, უარყოფითი დამოკიდებულება, ზოგჯერ აშკარა მტრობაც, ქრისტიანთა კონფესიებსა და დენომინაციებს შორის უმთავრესად სწორედ ურთიერთგანკითხვის შედეგია და, ასევე, არაინფორმირებულობის.

ერთიანობის ლოცვებს ყოველწლიურად განსხვავებული ხილული ნიშანიც აქვს. 2012 წლის ლოცვაზე ეს იყო საკურთხევლის წინ დადგმული დიდი საკმეველი, სადაც, ყოველი ლოცვის წაკითხვის შემდგომ, მონაწილენი ამატებდნენ გუნდრუკს, ნიშნად შეცვლისა და ერთობისა. ერთიანობის ლოცვისა და მშვიდობის მისალმების დასრულების შემდგომ, დამამთავრებელ საკითხავად წაკითხულ იქნა პავლე მოციქულის მიერ კორინთოს ეკლესიისადმი პირველი წერილის ნაწყვეტის მიხედვით შედგენილი ლოცვა: „საყვარელნო, იყავით მტკიცედ და შეურყევლად, ყოველთვის მოუღლელნი უფლის ვენახში, რამეთუ თქვენ იცით, რომ უფალში თქვენი შრომა უქმი არ იქნება. ვადიდოთ უფალი, რომელიც მიგვიძღვის ერთობისაკენ. მამაო, ჩვენ გიძღვნით ამ ლოცვას ჩვენს უფალ იესო ქრისტეში ჩვენი ერთობის გასაღრმავებლად. მან დათრგუნა სიკვდილი და მოგვიწოდა ახალი ცხოვრებისათვის წმინდა სულში“. დამასრულებელი ლოცვის შემდგომ, ეპისკოპოსებმა აკურთხეს ტაძარში შეკრებილი მრევლი, შემდგომ კი შეგროვდა შესაწირი, რომელიც თბილისის ევანგელურ-ლუთერულ ეკლესიას გადაეცა უმწეოთა დასახმარებლად.

კარგია, რომ ამ ერთობლივ ლოცვებს რეგიონებშიც ატარებენ. ალბათ, ამ ტრადიციას სხვა კონფესიებიც გაიზიარებენ, რათა ერთიანობის სულისკვეთება დედაქალაქსაც გასცდეს და შორეულ სოფლებშიც შეაღწიოს.

ᲜᲣᲒᲖᲐᲠ ᲑᲐᲠᲓᲐᲕᲔᲚᲘᲫᲔ

ქრისტიანების ერთობლივი ლოცვა მესხეთში

უკვე რამდენიმე წელია, რაც მესხეთში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, წელიწადში ერთხელ (იანვრის თვეში) სხვადასხვა აღმსარებლობის ქრისტიანები ერთად ვიკრიბებით და ვლოცულობთ ქრისტიანთა ერთიანობისათვის.

გასულ, 2011 წელს ასეთი შეხვედრა ჩატარდა ახალციხის რაიონის სოფელ წინუბნის სომხურ-კათოლიკურ ეკლესიაში. 2012 წლის 20 იანვარს კი ქ. ვალეს კათოლიკურ ეკლესიაში შევიკრიბეთ.

მართლაც, ძალიან სასიამოვნო და მშვენიერია, როცა, რელიგიური აღმსარებლობისა და ეთნიკური განსხვავებების მიუხედავად, შესაძლებელია ერთად ლოცვა და უფლისადმი ვედრების ერთად აღვლენა. სამწუხაროდ, ამჯერადაც, შეხვედრაზე არ იმყოფებოდნენ ჩვენი მოძმე, მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლები, მაგრამ ჩვენ გვწამს და დიდი იმედიც გვაქვს, რომ დადგება ის დრო, როდესაც ერთად ვილოცებთ „მამაო ჩვენო“-ს.

ქრისტიანთა ერთიანობისათვის ლოცვას უძღვებოდა ვალეს ეკლესიის წინამძღვარი, მამა ზურაბ კაკაჩიშვილი. ლოცვას ესწრებოდნენ ოთხი ეკლესიის წარმომადგენლები: სოფელ დიდი და პატარა პამაჯის სომხური სამოციქულო ეკლესიების წინამძღვარი, მ. მოვსესი; ახალციხის სომხურ-

ლოცვა ქუთაისში

ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის პასტორი სასუნი; სოფ. წინაუბნის სომხურ-კათოლიკური ეკლესიის წინამძღვარი, მ. პოღოსი და ეშტიის (ახალქალაქი) ეკლესიის წინამძღვარი, მ. ანტონი. ასევე, მესხეთში მოღვაწე რომაული წესის კათოლიკეთა მოძღვრები: მ. იეჟი შიმეროვსკი, მ. მიხეილ სურმავა და მ. არტურ გარბეცკი.

ქადაგებაში მ. იეჟიმ აღნიშნა, რომ ჩვენ, ქრისტიანები, რაც უფრო ვშორდებით იესოს, მით უფრო ვშორდებით ერთმანეთს. იმისათვის რომ ქრისტიანებს შორის იყოს ახლო კავშირი, საჭიროა, ყველანი ვეცადოთ, მივუახლოვდეთ ქრისტეს.

ღმერთმა ქნას, რომ ერთიანობისათვის ყოველწლიურმა ლოცვამ კეთილი ნაყოფი გამოიღოს, რათა ჩვენს შორის დამყარდეს უფრო მეტი სიახლოვე, იყოს ერთმანეთის კულტურისა და რელიგიური წეს-ჩვეულებების პატივისცემა და ქრისტიანებმა ვისაუბროთ არა ჩვენს შორის არსებულ განსხვავებებზე, არამედ იმაზე, თუ რა ბევრი საერთო გვაქვს ერთმანეთთან.

Ქ. ᲕᲐᲚᲔᲡ ᲛᲠᲔᲕᲚᲘ

„შეიყვარე მოყვასი შენი, როგორც თავი შენი“

მამა მიხეილ თამარაშვილის გარდაცვალებიდან ასი წლისთავი; პორტო-სანტა რუფინას ეპისკოპოსის, მონსინიორ ჯინო რეალის ქადაგება

ბატონო ელჩებო,
ხელისუფლების წარმომადგენლებო და
ძვირფასო მამებო,
ძვირფასო ძმანო და დანო,

ასი წლის წინ, ზუსტად 1911 წლის 16 სექტემბერს, სანტა მარინელასთან ახლომდებარე ზღვაში, დასახრჩობად განწირული ადამიანის გადარჩენის მცდელობისას, ტრაგიკულად დაიღუპა ქართველი მღვდელმსახური, მამა მიხეილ თამარაშვილი. ასე დასრულდა, საკუთარი სამშობლოდან შორს, ტირენეის პატარა დაბაში (რასაც მაშინ წარმოადგენდა ჩვენი ქალაქი), მრავალტანჯული ცხოვრება იმ ადამიანისა და მღვდლისა, ვინც დიად იდეალებს მისწვდა, და ვინც მთელი თავისი ცხოვრება მიუძღვნა ღვთისა და მოყვასის სამსახურს, ღვთისმსახურებას, სასულიერო და საერო ისტორიის შესწავლას, საკუთარი ქვეყნის – საქართველოს კულტურის ღრმად შეცნობას. სამშობლოდან შორს უდიდესი თანადგომისა და უზენაესი სიყვარულის გამომხატველი ჟესტით, დასრულდა თავგანწირული ადამიანის ცხოვრება...

მამა თამარათი ჩივიტავეკიას სასაფლაოზე დაასვენეს, ხოლო მისი ნეშტი 1978 წელს თბილისში, საქართველოს ცნობილ მოღვაწეთა პანთეონში გადაასვენეს.

მამა თამარათის ინტერესი თავისი ქვეყნის რელიგიის ისტორიისადმი იმ რწმენამ შვა, რომ პიროვნებათა და ხალხთა ისტორია ყოველთვის იყო ხსნის ისტორია. თავად ღმერთი, რომელიც ჩვენთან ერთად იღვწის ისტორიაში, ჩვენი თანამონაწილეობით (და მაშინაც, როცა განზე ვდგავართ), ხორცს ასხამს თავისი ხსნის პროექტს. ეს ფაქტი ნათელია გამოცდილი თვალისთვის, რომელმაც, ისტორიის შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე, იცის, რომ შეუძლებელია სარწმუნოების როლის დავიწყება საზოგადოების ცხოვრებაში.

საქართველოში თავისი ვიზიტის დროს, 1999 წელს, პაპმა იოანე პავლე II-მ შემდეგი განაცხადა: *„ღრმა მღელვარება მიპყრობს ამ მიწა-წყალზე ქრისტიანობის ხანგრძლივი და სახელოვანი ისტორიის წინაშე, რომელიც დასაბამს იღებს IV საუკუნის დასაწყისში წმიდა ნინოს ქადაგებიდან... ამ ეპოქიდან მოყოლებული, ქრისტიანობა იქცა იმ თესლად, საიდანაც აღმოცენდა და გაიფურჩქნა ქართული კულტურა, განსაკუთრებით – მონასტრებში. ეკლესია ექცა მცველად ეროვნულ თვითმყოფადობას, რომელზედაც აგრერიგად გამუდმებით მიჰქონდათ შეტევა. არაერთგზის აუოხრებიათ დამპყრობლებს საქართველო, მაგრამ ქართველმა ერმა შეინარჩუნა და დღემდე მოიტანა თავისი ეროვნული თვითმყოფადობა და ერთიანობა. ეს მოწმობს არა მხოლოდ ქართველი ხალხის სიმტკიცეზე, არამედ მის მიწა-წყალზე სახარების უშრეტ სიცოცხლის მომნიჭებელ ძალაზეც, რადგანაც ისტორიის ყველაზე დიდ ქარტეხილებში საქართველოს ჭეშმარიტი გადამრჩენელი იესო ქრისტეში მისი რწმენა იყო“* (სიტყვა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში გამართულ შეხვედრისას, 08.11.99). აქვე, პაპი გამოხატავდა თავის ღრმა რწმენას და სურვილს: *„ქრისტიანობამ ღრმა კვალი დაატყო საქართველოს წარსულს და არანაკლები გავლენა უნდა იქონიოს მის მომავალზეც“.*

იმავეს გამოხატავდა ნეტარი იოანე პავლე II სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქთან, მის უწმინდესობა ილია II-სთან შეხვედრისას: *„ამ მიწა-წყალზე, სახარების ქადაგების პირველი დღიდანვე, საქართველოს ეკლესია იქცა ქრისტეს კეთილშობილ მოწმედ და სახარებისეული ფასეულობებით აღსავსე კულტურის შთაგონების წყაროდ. დღეს კი, თავისუფლების ახალ ატმოსფეროში საქართველოს სამოციქულო ეკლესიას მტკიცედ სწამს მომავალისა, სადაც ღვთიური მადლის ძალა ამ კურთხეულ მხარეში რწმენის ახალ გაზაფხულს ააფეთქებს“* (სიტყვა თბილისში, საქართველოს საპატრიარქოში ვიზიტისას, 08.11.99).

ამის შემდგომ, იოანე პავლე II განავრცობს თავის მოსაზრებას და საუბრობს მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეების წინაშე, თბილისის სამთავრობო რეზიდენციაში, 1999 წლის 9 ნოემბერს. ამასთან დაკავშირებით, იგი დასძენდა: *„მოგმართავთ რა დღეს, შეუძლებელია, არ აღვნიშნო ქრისტიანობის წვლილი ქართულ კულტურაში. მნიშვნელოვანია ის, რომ მრავალი საუკუნის განმავლობაში თქვენი ეროვნული ლიტერატურა თითქმის მხოლოდ სასულიერო იყო. ეს ფაქტი ასახავს რაღაც იმას, რაც ადამიანის მთელ კულტურულ მოღვაწეობას ეხება. მართლაც, კულტურა ის რეალობაა, რომელიც წარმოიშობა მაშინ, როდესაც ადამიანი საკუთარ თავს დაძლევს. მას ქმნის იმპულსი,*

▶ 16 ᲒᲒ.

◀ 15 ᲒᲕ.

რომლის მეშვეობითაც ურთიერთობისა და გაზიარებისკენ შინაგანი სწრაფვისას პიროვნება ცდილობს, საკუთარ შეზღუდულობაზე ამაღლდეს. ამ თვალსაზრისით, შეიძლება, ითქვას, რომ კულტურის ძირეული ფესვები ადამიანის „ბუნებრივად რელიგიურ სულში“ ძევს. შინაგანი ძალა, რომლის ზემოქმედებასაც ადამიანი განიცდის და რომელიც უბიძგებს მას, საკუთარი არსების რეალიზაცია სხვებთან ურთიერთობაში ეძიოს, დაუკმაყოფილებელი რჩება მანამ, სანამ არ მიაღწევს ერთადერთ სხვას, რაც არის აბსოლუტი. სწორედ საკუთარი თავის დაძლევის მოძრაობა, სხვისი აღიარება, სხვასთან ურთიერთობის დამყარების მოთხოვნილება ქმნის კულტურას. მაგრამ ეს სხვისაკენ ლტოლვა მხოლოდ სიყვარულის საშუალებით არის შესაძლებელი... საქართველოს ძირძველ ქრისტიანულ კულტურაზე მსჯელობისას ბუნებრივად მიჩნდება ეს აზრები. სახარების ქადაგებამ არა მარტო ამცნო ხალხს სიტყვა ხსნისა, არამედ შთააგონა ქართული ანბანის შექმნა და შემდგომში გამოკვება თქვენი ეროვნული თვითმყოფადობა. ქრისტიანულმა რწმენამ შვა და ასაზრდოვა წერილობითი სიტყვის სიყვარული, რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა თქვენს ენაზე, ლიტერატურასა და მთელ კულტურულ ცხოვრებაზე“.

ნეტარი იოანე პავლე II, ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, თავის მსმენელთა ყურადღებას თანამედროვეობის ყველაზე დიდ სირთულეზე მიაპყრობდა, ანუ ტრადიციასა და თანამედროვეობას შორის შეხვედრაზე, და მოუწოდებდა მათ, რომ გონივრულად შეეხედათ ამ პრობლემისთვის, ანგარიში გაეწიათ ქვეყნის სულიერი მემკვიდრეობის, როგორც უშრეტი ფასეულობის წყაროსთვის, რომელიც დამცველია ადამიანისა და მისი სვე-ბედის ერთობისა და მთლიანობისა.

იმ წმიდა საკითხავებში, რომლებიც ამ ლიტურგიაზე მოვისმინეთ, გაისმა მადლიერებისა და ქების სიტყვები, წარმოთქმული წმიდა პავლეს მიერ თესალონიკის ქრისტიანული საკრებულოს მიმართ. მაკედონიის ამ ქალაქში მოციქულები, რომლებმაც „სულიწმიდის სიხარულით, დიდ განსაცდელებში მიიღეს ღვთის სიტყვა“, აჩვენებენ უფლის სახარების გაზიარების დიდ უნარს, რათა ახალი ცხოვრების მეშვეობით, თავის მხრივ, მათაც შეძლონ, შესთავაზონ სხვებს ცხოვრების ახალი სტილი და არჩევანი, რაც მთლიანად შეცვლიდა ამ ქალაქის იერსახეს.

იგივე შეიძლება ითქვას საქართველოზე; იესოს სახარების მიღებით, მათ გაითავისეს და „დიდ განსაცდელებში სულიწმიდის ძალით“ დაიცვეს იგი, საქართველოს ძველი სამოციქულო ეკლესიის მსახურების წყალობით და სხვა ქრისტიანული ეკლესიების შემწეობით, რომლებიც მოციქულთა რწმენის დამოწმებას ამტკიცებდნენ. აქვე, უნდა აღვნიშნო კათოლიკური თემის მხარდაჭერა, რომლის დიდებულ ბრწყინვალებად რჩება მიხეილ თამარათი; მინდა, განსაკუთრებულად მივესალმო მის ნათესავებს და ამ ეკლესიის ღვაწლმოსილ საერო და სამღვდელო დელეგაციას, ჩემს ძმურ მადლიერებას გამოვხატავ მისი მწყემსისადმი, მისი უსამღვდელოესობის, მონსინიორ ჯუზეპე პაზოტოსადმი, რომელმაც გულთბილი მიმართვა გამოგვიგზავნა.

მოხარული ვარ, გაუწყოთ, რომ მამა მიხეილ თამარაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში მონაწილეობას იღებს მისი უსამღვდელოესობა კარდინალი ლეონარდო სანდრი, აღმოსავლეთის ეკლესიების კონგრეგაციის პრეფექტი; მან ინება ჩვენთვის მისასალმებელი მიმართვის გამოგზავნა. ჩვენი მოკრძალებული მადლიერება კარდინალ სანდრის და კონგრეგაციის სამდივნოს, მის უმაღლესობას მონსინიორ ც. ვასილს.

მთავარი საკითხი, რასაც ქრისტიანი ამ წუთისოფელში აყენებს, ღვთისა და მოყვასის სიყვარულია, როგორც იესო შეგვაგონებს სახარებაში. რჯულის მასწავლებლებმა და ფარისევლებმა, როგორც მახარებელი მათე გვეუბნება, იესოს გამოსაცდელად დაუსვეს კითხვა: რომელია ყველაზე დიდი მცნება? მსგავს კითხვებს ჩვენც ხშირად გვისვამენ გამოსაცდელად: ეს ყველაზე მწვავე და შეუვალი კითხვებია; ზოგადად, ეს კითხვები ჩვენი რწმენის გულს და ჩვენს ქცევას ეხება და ჩვენს ერთგულებას ჩვენივე რწმენით ამოწმებს.

იესო პასუხობს: „შეიყვარე უფალი, ღმერთი შენი, მთელი შენი გულით, მთელი შენი სულით და მთელი შენი გონებით“. ეს არის პირველი და დიდი მცნება. და მეორე ამის მსგავსი: „შეიყვარე მოყვასი შენი, როგორც თავი შენი“, და ამატებს: „ამ ორ მცნებაზე ჰკიდია მთელი რჯული და წინასწარმეტყველნი“(მათე, 22, 37-40).

სიყვარულია, რასაც ღმერთი გვიწყალობებს ჩვენი ცხოვრების გარდასაქმნელად; მიღებული სიყვარული ყველას უნდა გავუნაწილოთ, ყველასთან ძმური ზიარებით უნდა ვიცხოვროთ, და ეს ჩვენი, როგორც იესოს მოწაფეების, უპირველესი მოვალეობა უნდა იყოს, რამეთუ იესოს „ბოლომდე“ უყვარს. წუთისოფელს სჭირდება ჩვენი სიყვარულის დამოწმება.

საქართველოს კულტურისა და მეცნიერების მოღვაწეთა წინაშე იოანე პავლე II-მ განაცხადა: *„საბოლოოდ, მხოლოდ სიყვარულს შეუძლია, ამოძირკვოს ტრაგიკული ეგოიზმი, რომელსაც ადამიანის გულის სიღრმეში დაუდვია ბინა. სწორედ სიყვარული გვეხმარება, რომ სხვები და ის ერთადერთი სხვა ჩვენი ცხოვრების ცენტრში დავაყენოთ“*.

მამა თამარათის სიცოცხლეში და მის სიკვდილში ვხედავთ, რომ მის ყოველ ნიბიჯს სიყვარული წარმართავდა; ამ სიყვარულის ძალით, მან სხვა ადამიანი დაღუპვისაგან იხსნა. ეს ნაბიჯი რეალობად მხოლოდ იმიტომ იქცა, რომ მთელ მის ცხოვრებას ღვთისა და მოყვასის სიყვარული წარმართავდა, ერთგული სიყვარული თავისი ერისადმი, თავისი მიწისადმი და თავისი ეკლესიისადმი, ასევე, მრავალი ახალგაცნობილი მოძმისადმი, ვისთან სიახლოვეც ღმერთმა არგუნა მას ამქვეყნიური მომლოცველობის ჟამს.

სანტა მარინელა, 23 ოქტომბერი, 2011წ.

ინტერვიუ კათოლიკეთა ოჯახთან

ოჯახი ეკლესიაში

ახალი, 2012 წლიდან ჟურნალი „საბა“ კიდევ ერთ, საგანგებო გვერდს გეგმავს: „ინტერვიუ კათოლიკეთა ოჯახთან“, სადაც გაშუქდება ყველაფერი ის, რაც გვაწუხებს და გვიხარია, გვაფიქრებს და გვაიმედებს. დაუფარავად ვთქვათ ჩვენი სათქმელი, რითაც შევძლებთ ერთმანეთისთვის გამოცდილების გაზიარებას და შვებას ვიგრძნობთ.

თქვენ, როგორც კათოლიკური ტრადიციების მქონე ოჯახის წარმომადგენლები, რას თვლით კათოლიკე მრევლის სიძლიერის მთავარ ნიშნად?

ვატო: მრევლის სიძლიერე რწმენასა და სიყვარულშია, იმ ჭეშმარიტების შეცნობაში, რომელიც თავად ქრისტეა. ჩვენი მოძღვრები სწორედ ამისკენ მოგვიწოდებენ.

ნანა: მოგეხსენებათ, რომ საუკუნეების მანძილზე კათოლიკეების გამორჩეულობა, განათლებისკენ სწრაფვა, მაღალი ზნეობრივი ღირებულებების დაცვა, პროგრესული აზროვნება, ნოვატორული საქმეები, მეტწილად იმ კათოლიკე მისიონერებისა და ადგილობრივი მღვდლების დამსახურება იყო, რომლებსაც, ღვთის ჭეშმარიტების უწყებასთან ერთად, კეთილი საქმეების საკეთებლად ადამიანების აქტიური მოქმედებისკენ სტიმულირება შეეძლოთ. თანამედროვე საქართველოში მყოფი მისიონერები აგრძელებენ ამ ტრადიციას და ამიტომაც ვთვლი, რომ ჩვენი სიძლიერეც სწორედ ამაშია. მაღალი ზნეობისა და განათლების მქონე ღვთის სიტყვის გამავრცელებლები თავად არიან კარგი მაგალითი ჩვენთვის, გვასწავლიან, როგორ გავხდეთ ქმედითნი ღვთის სიყვარულში და ხელს უწყობენ კათოლიკე მრევლის ერთ ოჯახად ჩამოყალიბებას.

მიუხედავად საუკეთესო მისიონერებისა, საკრებულოს რიცხვი თანთადან კლებულობს; როგორ ფიქრობთ, რა არის ამის მიზეზი?

ვატო: რწმენის ნაკლებობა. ეკლესიის წიაღში მყოფმა ადამიანმა ტრანსფორმაცია უნდა განიცადოს, უნდა შეიცვალოს თავად და ზოგჯერ საკუთარი ცხოვრებაც შეცვალოს. ალბათ, ამას ბევრი ვერ ახერხებს, ამიტომ ნებისმიერი საბაბი საკმარისია ეკლესიიდან განრიდებისთვის. როცა ვხედავ, რომ ადამიანები ეკლესიის დანახვაზე პირჯვარს იწერენ, მრჩება შთაბეჭდილება, რომ მათთვის ღმერთი მხოლოდ ეკლესიაშია და არა ეკლესიის გარეთაც. გამუდმებით ითხოვენ სასწაულებს და ღვთის არსებობის მტკიცებულებებს. მაგრამ უფალი ამბობს: „ნეტარ არიან ისინი, ვისაც არ ვუნახივარ და მირწმუნეს“ (იოან. 20,29.) „ვინც არ გინახავთ და გიყვართ, თუმცა ვერ ხედავთ, მაგრამ გწამთ, ხარობთ გამოუთქმელი და დიდი სიხარულით“ (1პეტრე 1,8.).

ნანა: როგორც კათოლიკური ეკლესიის წევრს, მუდამ მაწუხებს ჩვენი ეკლესიური ოჯახის რიცხობრივი შემცირება. ასეთი ტენდენცია შემაშფოთებელია, რადგან პირადად ჩემთვის ეკლესია არის ქრისტეს ჭეშმარიტებასთან გააზრებული და შეგნებული თანაზიარების ადგილი, სადაც ნამდვილად ვიცი, ვინ არის ქრისტე და როგორ უნდა ვიცხოვრო ამ სამყაროში, რომ ვიყო ქრისტიანად წოდების ღირსი. ეკლესია არის არა მარტო რწმენის, არამედ იმ კულტურის პატარა კუნძული და ოაზისი, რომელიც მაგრძნობინებს, რომ ევროპის ნაწილი ვარ.

თქვენი აზრით, თანხვდება თუ არა ქართული ტრადიციები ევროპულ მენტალიტეტს?

ვატო: ჩემთვის რწმენის გარეშე ტრადიცია არაფერია. ხშირად ტრადიციებისა და რიტუალების მიმართ დამოკიდებულება ქრისტიანობის არსს ფარავს და აკნინებს.

ნანა: გული შემტკივა იმ გაუგებრობაზე, რაც ჯერ კიდევ არსებობს კათოლიკობის ირგვლივ საქართველოში და მაწუხებს კითხვა, რატომ არ უნდა იყოს ქართველი კათოლიკე? რატომ არსებობს საზოგადოების წნეხი, რაც უდავოდ მოქმედებს? ნუთუ არის რაღაც, რაც არ ჯდება ქართულ მენტალობაში? პასუხი შემიძლია მხოლოდ ვივარაუდო, ან ვიმსჯელო ამაზე. მოგეხსენებათ, რომ საქართველო ტრადიციული ქვეყანაა და ქართველებისთვის ტრადიციების დაცვა ყოფიერების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. ჩვენც, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქეები, ვუფრთხილდებით და ვიცავთ ამ ტრადიციებს და ჩვენი მენტალობაც ისეთივეა, როგორიც ქართველი ქრისტიანისა. ვფიქრობ, რომ ერთი მეორეს ხელს არ უშლის. ევროპასთან ინტეგრაცია არ ნიშნავს ყველაფრის შეცვლას, თუმცა გასაუმჯობესებელი ბევრი რამ გვაქვს. მაინც მგონია, რომ რწმენა ტრადიციაზე ძლიერი უნდა იყოს.

როგორია თქვენს ოცნებაში დანახული კათოლიკე მრევლი?

ნანა: მინდა ვნახო ისევ ისეთი ძლიერი, ღვთისადმი, ხალხისა და სამშობლოსადმი სიყვარულით სავსე, თავმდაბალი და თავაწეული კათოლიკეები, როგორც ყოფილან თავისი ისტორიის მანძილზე. არ მინდა, რომ გვეშინოდეს ჩვენი კონფესიური კუთვნილების გამხელისა.

ვატო: მეოცნებე არა ვარ. ვცხოვრობ იმით, რასაც ღმერთი დღეს მაძლევს, რადგან მჯერა, ყველაფერი მისი ნებისამებრ იქნება: „რომელ თქვენგანს შეუძლია თავის სიმაღლეს ერთი წყრთა შემატოს? ჰოდა თუ უმცირესიც არ შეგიძლიათ, სხვაზე რაღას ზრუნავთ?“ (ლუკა 12. 25-26).

ესაუბრა **ნინო ჟღენტი**

საქართველო: ასწავლე და ისწავლე

„Teach and Learn with Georgia“ – „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ – ამ სახელწოდებით ხორციელდება პროექტი, რომელსაც მხარს უჭერს თბილისის მერია, და მისი წყალობით, უცხოელი ახალგაზრდა მოხალისეები მშობლიურ ენას ასწავლიან საქართველოს სკოლებში, ცხოვრობენ ადგილობრივ ოჯახებში და მუშაობენ ბავშვებთან. მოდით, გავეცნოთ იტალიელი მოხალისეების პირველ გამოცდილებებს.

გასულ სასწავლო წელს, ათასობით ახალგაზრდა მონაწილეობდა „Teach and Learn with Georgia“-ს პროექტში; პროგრამას მხარს უჭერს საქართველოს მთავრობა, რომლის წყალობითაც ინგლისელი, იტალიელი და გერმანელი ახალგაზრდები საქართველოში მოიწვიეს სკოლებში მათი მშობლიური ენის სწავლების მიზნით. პირველად მხოლოდ ინგლისურ ენაზე გაკეთდა აქცენტი, მაგრამ 2011 წლის დასაწყისში პროგრამა გაფართოვდა და იტალიური და გერმანული ენებიც მოიცვა. 2011 წლის იანვარში პირველი რვა იტალიელი მოხალისე ჩამოვიდა, რომლებიც მომდევნო ექვსი თვის მანძილზე თბილისის, რუსთავის, ბათუმის, ზუგდიდისა და თელავის სკოლებში იტალიურს ასწავლიდნენ. ძირითადად ესენი იყვნენ დამამთავრებელი კურსის სტუდენტები ან კურსდამთავრებულები, მათ შორის ისინიც, ვინც სამსახურიდან რამდენიმეთვიანი შვებულება აიღო და საკუთარი დრო დაუთმო ქართველ მოსწავლეებთან იტალიური ენის სწავლებას.

მნიშვნელოვანი პედაგოგიური გამოცდილება

მიქაილი, ვენეტოდან ჩამოსული მოხალისე, კმაყოფილია ქართულ ოჯახში ცხოვრებით. ქართველ მოზარდებთან მუშაობის გამოცდილება ძალიან საინტერესოა პროფესიული თვალსაზრისით; მიქაილისთვის იტალიურის სწავლება უცხოელთათვის პირველი ექსპერიმენტია. ახალგაზრდა იტალიელი მოხალისე გვიამბობს, რომ ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომელსაც ამ თვეებში წააწყდა, იყო იტალიური ენის შემსწავლელი სახელმძღვანელოებისა და პედაგოგიური მასალის უკმარისობა. *„არსებული წიგნები ძველი გამოცემისაა და მოსწავლეებს უჭირთ ჩვენი ენის შესწავლა ამ ტექსტებით,* – გვიხსნის მიქაილი, – *საქართველოში ენების სწავლების ამჟამინდელი პედაგოგიური სისტემა ვერ ეხმარება მოსწავლეს, რომ ცოცხალი ინტერესი შეინარჩუნოს სწავლის პროცესისადმი. მათგან თითქმის ყველაფერს ზეპირად ითხოვენ. ეს კი თავისუფალი აზროვნების შესაძლებლობას ზღუდავს და... მოსაწყენია“.*

ჩამოსვლიდან დღემდე, მიქაილმა შეამჩნია ოდნავი ცვლილება. მისი აზრით, *„პირველკლასელები თანდათან ითვისებენ სწავლების მეთოდს და უახლოვდებიან ევროპის უმეტეს ნაწილში დამკვიდრებულ სისტემას. მოსწავლეები აუმჯობესებენ თავიანთ შედეგებს და უფრო მეტად ენერგიულები არიან. კმაყოფილი ვარ, მიზანს მივაღწიეთ“*. მიქაილი და ლაურა აცხადებენ, რომ *„მოსწავლეების მშობლები, ძალიან აფასებენ იტალიელთა აქ ყოფნას და ყოველთვის თავაზიანები არიან ჩვენთან ურთიერთობაში“.*

მიქაილმა, საქართველოში თავისი პედაგოგიური მოღვაწეობის განმავლობაში, კარგი გამოცდილება შეიძინა და გადაწყვიტა, რომ მომდევნო სასწავლო წელსაც აქ დარჩეს. *„გადავწყვიტე დარჩენა, რადგანაც ჩემი მუშაობა სკოლის დირექტორმა და მისმა მოადგილემ კარგად შეაფასეს და მთხოვეს, ისევ დავბრუნებულიყავი,* – გვიამბობს ახალგაზრდა მოხალისე, – *კარგად ვგრძნობ თავს საქართველოში, ბევრი უცხოელი მეგობარი მყავს. ესეც არის, ამ გამოცდილებით პირადად მე ახალი გამოწვევა მივიღე: ახლა უკეთ ვიცნობ სკოლას, მოსწავლეებს და სასკოლო სისტემას. მე მაქვს პირადი გეგმები და მჯერა, რომ ჩემს წვლილს შევიტანთ იტალიური ენის სწავლებაში იქ, სადაც ვიმუშავებ“.*

ზუგდიდში შევხვდი ანა-ლიზას, ტრენტოელ გოგონას, რომელიც გასულ სემესტრში ასწავლიდა აქ. ანა-ლიზა აღიარებს, რომ ცოტათი დაიღალა კიდეც საქართველოს ამ ჩრდილო-დასავლეთ რეგიონში ყოფნით, *„რადგანაც ქალაქი ძალზე პატარაა და, სამუშაოს გარდა, ვერაფერს გააკეთებ; დიდ ენერგიასაც მოითხოვს, რადგანაც ათობით მოსწავლეს უტარებ კურსს, თუმცა არიან მოსწავლეები, რომლებიც გაკვეთილზე მხოლოდ თვეში ერთხელ ცხადდებიან“.* იმავე აზრისაა მისი კოლეგა სარა, ახალგაზრდა პულელი მასწავლებელი, რომელიც აცხადებს, რომ *„მოსწავლეები დიდად არ იწუხებენ თავს სწავლით, რადგანაც აქ იტალიური ენა ფაკულტატური საგანია“*.

მომდევნო სასწავლო წელს იტალიური ენა საქართველოს საჯარო სკოლებში შევა, როგორც კურიკულური (არჩევითი) ენა. გასული წლის აპრილში, თბილისში იტალიის საელჩოსა და საქართველოს განათლების სამინისტროს შორის შედგა შეთანხმება თანამშრომლობის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს იტალიური ენის შეტანას ეროვნული სწავლების პროგრამაში. ასე რომ იტალიური ენა, რუსულთან, გერმანულთან და ფრანგულთან ერთად, არჩევითი (ინგლისური ყველა სკოლაში სავალდებულოა) ენა იქნება სკოლებში. მანამდე კი, პროგრამის კოორდინატორები ძალიან დიდ კმაყოფილებას გამოთქვამენ მიღწეული შედეგების გამო და ვარაუდობენ, რომ მომავალი სასწავლო წლიდან ათას ხუთას მოხალისეს მიიღებენ და ფრანგულ ენასაც შეიტანენ ფორმაციულ პროგრამაში.

იტალიელი „ბიძაშვილები“

როდესაც იტალიელი მოხალისეები საქართველოში თავიანთი გამოცდილების შესახებ ყვებიან, ერთხმად აღნიშნავენ იმ შთაბეჭდილებას, რაც მათზე მოახდინა ქართველების მიერ გამოჩენილმა დიდმა ინტერესმა და განსაკუთრებულმა მეგობრობამ იტალიელი „ბიძაშვილების“ მიმართ. *„ყველგან იგრძნობა იტალიისადმი სიყვარული, ყველამ იცის სანრემოს ფესტივალის შესახებ,* – ღიმილით გვიამბობს ლაურა, ერთ-ერთი იტალიელი მოხალისე, – *ქართველები კულტურულად ახლოს გრძნობენ თავს იტალიელებთან და მეუბნებიან, რომ ძალიან ვგავარ მათ“*.

ლაურა გვიხსნის, რომ მოხალისეები, ჩვეულებრივ, ოჯახებში ცხოვრობენ, სადაც თავიანთი წვლილიც შეაქვთ იმ თანხიდან, რასაც მათ საქართველოს მთავრობა უხდის. ახალგაზრდა იტალიელ მასწავლებელს მოსწონს თავისი ქართველი მასპინძელი, მიუხედავად იმისა რომ „ზედმეტად იჩენს მფარველობას“ მის მიმართ. *„ყოველთვიურად საქართველოს მთავრობისგან ვიღებთ 500 ლარს, 250 ევროზე ნაკლებს, ამიტომაც ძნელი იქნება ჩვენთვის, ცალკე ბინებში ვიცხოვროთ, ოჯახებში ცხოვრება მართლაც მშვენიერია. ვინაიდან მე მიყვარს სამზარეულოში ტრიალი, ყოველ კვირას ერთ იტალიურ კერძს ვასწავლი ჩემს ქართველ „დედას“. უკვე შევასწავლე პარმიჯანას, ლაზანიას და ტირამისუს მომზადება. სიმართლე ითქვას, სამზარეულოს ამ იმპროვიზებულ კურსს აუცილებლობაც განაპირობებდა, რადგანაც ქართველებს იტალიური კერძების მომზადების გამოცდილება არა აქვთ... ბევრი ჭამს პიცას მაიონეზით და ზედმეტად მოხარშულ მაკარონს“.*

მაურო მორანდი

ქრისტიანთა დევნისა და დისკრიმინაციის პრობლემა

მოსკოვში, 2011 წლის pirvel დეკემბერს, მოეწყო საერთაშორისო კონფერენცია თემაზე „რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლება: ქრისტიანთა დევნისა და დისკრიმინაციის პრობლემა“. შეხვედრა ორგანიზებული იყო რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ, რუსეთის ქრისტიანული შიდაკონფესიური კომიტეტის, „წმ. გრიგორი ღვთისმეტყველის“ და „განსაცდელში მყოფი ეკლესიების დახმარების“ ფონდების მხარდაჭერით. ფორუმში მონაწილეობდნენ: ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმის, სერბეთის, საბერძნეთისა და კვიპროსის მართლმადიდებელი ეკლესიების წარმომადგენლები, ასევე, რომის კათოლიკე ეკლესიის, სომხური ეკლესიის, მარონიტების ეკლესიისა და აღმოსავლეთ სირიის ეკლესიის წევრები; კონფერენციაში ასევე მონაწილეობას იღებდნენ ისლამური და ებრაული საკრებულოებისა და სხვადასხვა საერთაშორისო, კონფესიათა და რელიგიათაშორისი გაერთიანებების წარმომადგენლები.

მამა გაბრიელე ბრაგანტინი *საქართველოდან დაუკავშირდა* **პროფესორ მასიმო ინტროვინიეს,** *რომელიც OSCE-ს (Organizzazione per la Sicurezza e Cooperazione in Europa) წარმომადგენლის სტატუსით მონაწილეობდა ამ კონფერენციაში, და სთხოვა, ქართველი მკითხველისათვის საინტერესო რამდენიმე კითხვაზე გაეცა პასუხი.*

თქვენ, როგორც ამ კონფერენციაში მონაწილე OSCE-ს წარმომადგენელი, რას იტყვით, შეიძლება ამ კონფერენციის თემატიკიდან გამომდინარე, ვისაუბროთ ზოგადად მსოფლიოში ქრისტიანთა მდგომარეობაზე?

თუ რვაასიანი წლების იტალიურ მხატვრობას გავეცნობით, რომლის ნიმუშებიც სანკტ-პეტერბურგში, ერმიტაჟშია გამოფენილი, შევამჩნევთ, რომ XIX საუკუნეში, როგორც იტალიური, ასევე რუსული მხატვრობის ერთ-ერთი უძველესი თემაა გემის ჩაძირვის ამსახველი მომენტები, და ეს აღვნიშნე კიდეც მოსკოვში. თუ საზოგადოება ქრისტიანთა დევნაზე დუმილს არჩევს იმის შიშით, რომ მდევნელები არ გაანაწყენოს, – რადგან, შესაძლოა, ისინი ნავთობით ამარაგებენ, ან მათგან ძვირფას ნედლეულს ყიდულობენ, – მაშინ ევროპა მართლაც დადგება მორალური და სულიერი „ჩაძირვის“ საფრთხის წინაშე, რაც მას ეკონომიკურ კრიზისზე უფრო მეტ ვნებას მიაყენებს.

ფაქტობრივად, მოსკოვის კონფერენციამ საშუალება მოგვცა, დაგვენახა ქრისტიანთა დევნისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის მთავარი პრობლემა. ყველგან ყურადღებით ისმენენ მსხვერპლთა ისტორიების შესახებ და ხშირად გულწრფელად გამოხატავენ მათ მიმართ სიმპათიებს; მსხვერპლი თავისთავად იწვევს თანაგრძნობას. მაგრამ იდუმალების ბურუსშია გახვეული მდევნელთა გამოაშკარავების პრობლემა. ალბათ, პოლიტიკური თუ სამხედრო თვალსაზრისით, რადგან ხშირად ისინი ძლიერი ქვეყნების ეკონომიკური პარტნიორები არიან, რომელთა განაწყენებაც არავის აწყობს. აი, აქედან აღმოცენდება ევფემიზმი და მეტაფორიზმი, სააშკარაოზე არ გამოაქვთ მდევნელთა სახელები და ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ქრისტიანები თავად დევნიან საკუთარ თავს.

ასამბლეის ბოლო მიმართვაში ვკითხულობთ: „დელეგატებმა აღშფოთება გამოთქვეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ქრისტიანთა მდგომარეობის გამო, კერძოდ, იმ ქვეყნებში, სადაც ისინი უმცირესობას წარმოადგენენ. განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრეს ქრისტიანთა მდგომარეობას ერაყსა და შუა აღმოსავლეთის რამდენიმე ქვეყანაში, კერძოდ, ეგვიპტესა და ჩრდილო აფრიკის ზოგიერთ ქვეყანაში, ასევე პაკისტანში, ავღანეთში, ნიგერიაში, ჩრდილო სუდანში, ინდონეზიაში, ერითრეაში, ინდოეთში. რელიგიური საკრებულოების ლიდერებმა და წარმომადგენლებმა დაგმეს ქრისტიანთა მიმართ განხორციელებული ძალადობა და დისკრიმინაცია, და ითხოვეს, სასწრაფოდ იმოქმედონ დევნილ მორწმუნეთა დასახმარებლად“.

მაინც რა ფაქტები განაპირობებენ მათ აღშფოთებას და რა სახის სასწრაფო ინტერვენცია შეიძლება განხორციელდეს?

ამ ქვეყნებში არსებული ვითარება მოითხოვს არა მხოლოდ მსხვერპლთა წამების ადექვატურ აღწერას, არამედ მათი ჯალათების გამოაშკარავების აუცილებლობას. როგორც მოსკოვის კონფერენციაზე იმსჯელეს, ისინი შეიძლება სამ კატეგორიაში მოთავსდნენ.

უპირველესია ისლამური ულტრა-ფუნდამენტალიზმი, რომელთა მესვეურებიც, იმის შიშით რომ ისლამოფობიაში დაადანაშაულებენ, მალავენ ფაქტებს. ფაქტობრივად, ისლამის მიმართ შექმნილია ანტიპათიური განწყობა, ერთობ საშიში დისკრეციული ნიშან-თვისებით – დაინახო ყოველ მუსულმანში ქრისტიანთა მოსაკლავად მზადმყოფი ტერორისტი. OSCE გმობს ამ საშიშ ისლამოფობიას. მაგრამ თუ კარგად დავაკვირდებით, მივხვდებით, რომ არ არსებობს არანაირი ისლამოფობია, რადგან ყველა მუსულმანი არ არის ფუნდამენტალისტი და არც ყველა ფუნდამენტალისტია მოქმედი ან პოტენციური ტერორისტი. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქრისტიანები ისლამური ფუნდამენტალიზმის ყველაზე ექსტრემალური ნაწილის სისტემური სამიზნეა.

საქმე ეხება არა მხოლოდ იმ კერძო ორგანიზაციებს, რომლებიც ტერორიზმით არიან დაკავებულები, არამედ იმ დისკრიმინაციულ კანონებსაც, რომლებიც ძალადობას ამკვიდრებენ. მრავალ ისლამურ ქვეყანაში (ცხადია, არა ყველგან) ქრისტიანებს თავისუფლად შეუძლიათ თავიანთი რიტუალის აღსრულება ეკლესიაში, მაგრამ ეკლესიის გარეთ ისინი სახარებაზე სიტყვასაც ვერ დასძრავენ. ხოლო თუ რომელიმე მაჰმადიანი ქრისტიანობას მიიღებს, ისჯება აპოსტასიის ბრალდებით, როგორც ღვთის მგმობელი (ეს კანონი დასავლეთის დაჟინებული მოთხოვნით გააუქმეს). ხშირად კანონი, რომელიც რწმენასაა ამოფარებული, მის წინააღმდეგაა მიმართული. თავად პაპმა, 2011 წლის 10 აგვისტოს, წმიდა საყდართან აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსთან შეხვედრისას, აღნიშნა, „რომ რელიგიური თავისუფლება სავსებით ვერ გამოვლინდება იქ, სადაც უზრუნველყოფილია მხოლოდ კულტის თავისუფლება, მით უფრო, შეზღუდვებით“. გარკვევით აღინიშნა ისიც, რომ „იმ ნორმებს შორის, რომლებიც პიროვნების რელიგიური თავისუფლების უფლებას უზრუნველყოფს, საყურადღებოა ღვთის გმობის წინააღმდეგ მიმართული კანონი, რომელიც პაკისტანში მოქმედებს: კვლავ მივმართავ ამ ქვეყნის ხელისუფლებას, რომ გამოიჩინოს აუცილებელი ძალისხმევა ამ კანონის გასაუქმებლად, მით უმეტეს, როცა აშკარაა, რომ იგი მხოლოდ რელიგიურ უმცირესობაზე უსამართლო ძალადობის პროვოცირებას ემსახურება“.

ამას მოსდევს აფრიკული და აზიური ქვეყნების ეთნო-ნაციონალიზმი, რომელიც ეროვნულსა და რელიგიურს იდენტურად მოიაზრებს; ასე, მაგალითად, დომინირებს მოსაზრება, რომ კარგი ინდოელი რომ იყო, აუცილებელია

▶ 20 ᲒᲒ.

◀ 19 33.

იყო ინდუსი. ამ შემთხვევაშიც, საჭიროდ ვთვლი, აღინიშნოს, რომ ყველა ინდუსი როდი ავლენს შეუწყნარებლობას, მათ სურთ, დაგმონ შემზარავი ფაქტები – ცოცხლად დამწვარი და ნაწამები ბერ-მონაზვნები – რაზეც პასუხისმგებელია ინდური ნაციონალიზმის უკიდურესი ფრთა.

და მესამე, საბჭოური რეჟიმის დამხობიდან ათი წლის შემდეგ, ისევ ვხვდებით ქრისტიანთა დევნის ფაქტებს. ჩრდილო კორეა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მუდმივად არის მხილებული, როგორც მსოფლიოში ყველაზე საშიში ქვეყანა ქრისტიანებისთვის, ასევე ჩინეთი, რომელიც საკმაოდ შორს დგას ნამდვილი რელიგიური თავისუფლებიდან.

სხვა ქვეყნებში ქრისტიანებს არ დევნიან, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ რელიგიური ცხოვრება, თავისი მრავალგვარი ასპექტებით: მორალური, სოციალური, საქველმოქმედო, ისტორიული, ჰუმანური ...სავსებით მიღებული და დაფასებულია; შემდეგ, როცა ადამიანის საყოველთაო უფლებებზე საუბრობენ, ყველაზე ნაკლები ყურადღება ექცევა რელიგიურ თავისუფლებას, გარდა ამისა, ყოველგვარ ხერხს მიმართავენ, რომ ადამიანი რელიგიური არ გახდეს. სხვა შემთხვევებში, რელიგიასთან შედარებით, უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ თუნდაც ეკონომიკურ, მეცნიერულ ასპექტებს;... როდესაც სიტუაცია აუტანელი ხდება, როდესაც ფაქტები „გახმაურდება“, მხოლოდ მაშინ იწყებენ მასზე საუბარს და ცდილობენ გამოსავლის პოვნას. ამგვარი „უცნაური“ სიტუაციების გამო, – რომ აღარაფერი ვთქვათ მეცნიერებას, ეთიკასა და ფილოსოფიას შორის გაძლიერებულ ანტაგონიზმზე, – ხომ არ ფიქრობთ, რომ საჭიროა, თავიდან გავიაზროთ, რას ნიშნავს დღეს რელიგიურობა, რელიგიური თავისუფლება, რელიგია... ინდივიდუალურ და სოციალურ დონეზე; დავფიქრდეთ, ისე რომ არ ჩავიძიროთ მაინცდამაინც ევროპულ იდეებში, ან წარსულის გამოცდილებაში, რაც ნამდვილად არ დგას დღევანდელ სიტუაციაში მოწოდების სიმაღლეზე? თქვენი გამოცდილებით, რაზე შეიძლება იყოს დამყარებული ეს ახლებური აზროვნება?

ფაქტობრივად, ეს არის პუნქტი, რაზეც განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება მოსკოვში პატრიარქმა კირილემ, ანუ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მიუხედავად იმისა რომ არანაირი სურვილი არა გვაქვს, ერთ ჭრილში იქნეს განხილული ეგვიპტესა თუ პაკისტანში და ევროპაში მიმდინარე მოვლენები, უნდა აღინიშნოს, რომ თვით ევროპაშიც ვხვდებით ქრისტიანთა მიმართ შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის ამსახველ ფაქტებს, მათ დასცინიან და საზოგადოებიდან რიყავენ. მიტროპოლიტმა ალექსიმ გაიხსენა იტალიაში, საკლასო ოთახებიდან ჯვრის გატანის მცდელობის ფაქტი, რამაც ორთოდოქსული ქვეყნების, მათ შორის, რუსეთისა და საბერძნეთის, მორწმუნეთა აღშფოთება გამოიწვია, რომელთა მიერ ადამიანის უფლებათა დამცველ ევროსასამართლოში შეტანილი სარჩელი დააკმაყოფილეს.

მოსკოვში, მონსინიორ ენდერმა, წმიდა საყდრის სახელით გაკეთებულ თავის მოხსენებაში, აღნიშნა, რომ პაპმა 2010 წლის 20 დეკემბერს, როდესაც რომის კურიაში დასავლურ „ქრისტიანოფობიაზე“ საუბრობდა, მოიშველია სამხრეთ აფრიკაში დაბადებული, ამერიკაში მოღვაწე ცნობილი ებრაელი იურისტის, ჯოზეფ ვეილერის მოსაზრება. „როცა ჩვენი მზერა დასავლეთიდან აღმოსავლეთზე გადაინაცვლებს, – აღნიშნა პაპმა, – რელიგიური თავისუფლების წინააღმდეგ მიმართული სხვადასხვა სახის მუქარის წინაშე აღმოვჩნდებით. პირველ რიგში, ვგულისხმობ იმ ქვეყნებს, სადაც დიდი მნიშვნელობა არა აქვს პლურალიზმსა და ტოლერანტობას, სადაც რელიგია მზარდ მარგინალიზაციას განიცდის. არის სწრაფვა, რომ რელიგია, ყველა რელიგია, უმნიშვნელო ფაქტორად, თანამედროვე საზოგადოებისათვის უცხოდ და თვით დესტაბილიზატორად წარმოაჩინონ, სხვადასხვა გზებით ცდილობენ, რომ რელიგიამ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე არ იმოქმედოს. ასე იქმნება ვითარება, როცა ქრისტიანები პროფესიულ მსახურებას თავიანთ რელიგიურ და მორალურ მრწამსს არ უკავშირებენ, და მას ხშირად ეწინააღმდეგებიან; ეს ხდება, მაგალითად, იქ, სადაც ძალაშია კანონები, რომლებიც ზღუდავენ ჯანდაცვისა თუ ადამიანის უფლებათა დამცველი მუშაკების ალტერნატიული მომსახურეობის უფლებას, განსაკუთრებით, „აბორტის“ საკითხში.

„ქრისტიანოფობია“ მჟღავნდება მუქარაში, რომლის ძალითაც ქრისტიანულ სკოლებში ზღუდავენ აღმზრდელობით თავისუფლებას. ისევ მოვიყვან ბენედიქტე XVI-ის ციტატას, რომელმაც თქვა, რომ არ შეიძლება „უხმაუროდ ჩაიაროს ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში ოჯახების რელიგიური თავისუფლების წინააღმდეგ მიმართულმა კიდევ ერთმა მუქარამ, იქ, სადაც გეგმავენ სქესობრივი, ან სამოქალაქო აღზრდის კურსებში მონაწილეობას, სადაც საეჭვო სახით გადასცემენ პიროვნებისა და სიცოცხლის შესახებ კონცეფციას, სინამდვილეში კი ისეთ ანთროპოლოგიაზე მსჯელობენ, რაც უპირისპირდება რწმენასა და წმინდა გონებას“.

შეუწყნარებლობა კულტურული ფაქტორია, ხოლო დისკრიმინაცია – იურიდიული. მაგრამ აქ საუბარია გზის პირველ ორ სტადიაზე, რაც დაღმართით მიდის და თუკი დროულად არ გაჩერდა, სავალალოდ, ძალადობისა და დევნის მესამე სტადიაზე გადაინაცვლებს.

როგორ უნდა მოვახდინოთ რეაგირება? ცხადია, უკიდურესად მნიშვნელოვანია რწმენასა და გონებას შორის დიალოგი და, შეუძლებელია, ამ პროცესში მეცნიერებაც არ ჩაებას. ამაზე ნათლად ისაუბრა პაპმა ასიზში, რელიგიათაშორის დიალოგის დროს, სადაც პირველად მოიწვიეს ათეისტები, რომლებიც ჯერ კიდევ ჭეშმარიტების ძიებაში არიან, და არა მხოლოდ ისინი.

როგორ გგონიათ, ადამიანის საყოველთაო უფლებების დამცველი დეკრეტების გვერდით, არსებობისა და თვითორგანიზების მიზნით, უნდა შეიქმნას ეკლესიათა და რელიგიათა უფლებების ქარტიაც?

დიახ. აქვე, მინდა ჩემი პირადი გამოცდილება გაგიზიაროთ. 6-7 დეკემბერს ვილნიუსში მონაწილეობა მივიღე OSCE საგარეო საქმეთა ორმოცდათექვსმეტი მინისტრის შეხვედრაზე, სწორედ აქ გაიმართა ცნობილი დებატები ჰილარი კლინტონსა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, სერგეი ლავროვს შორის, რუსეთის საარჩევნო კამპანიის არაორგანიზებული ხასიათის შესახებ. ამ შეხვედრაზე ასევე შეეხნენ რელიგიურ თავისუფლებას და, განსაკუთრებით, ქრისტიანთა დევნის წინააღმდეგ გამართულ ბრძოლას; ამ სექტორზე, ლიტველი თავმჯდომარის ხელმძღვანელობით, OSCE განსაკუთრებულ აქტიურობას იჩენდა 2011 წელს. თავად ჰილარი კლინტონმა განაცხადა, რომ აშშ პატივს სცემს ე.წ. „არაბული გაზაფხულის“ შემდგომ არჩევნებს, მაგრამ ამ არჩევნების შედეგად მოსულმა მთავრობებმა, თავის მხრივ, პატივი უნდა სცენ რელიგიურ უმცირესობებს. სამოქალაქო ორგანიზაციებთან შეხვედრაზე, – რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები, ცნობილი პიროვნებები, რომლებიც OSCE წევრები არ იყვნენ, მათ შორის პირველად იყო ლიბიის წარმომადგენელი, – ხაზგასმით აღვნიშნე, რომ ჩრდილო აფრიკაში ქრისტიანებს მხოლოდ ტოლერანტულობა არ აკმაყოფილებთ. მათ სურთ, სხვების მსგავსად, პირველი რანგის მოქალაქეებად იგრძნონ თავი, მათაც ეკისრებოდეთ პოლიტიკური და სამხედრო ფუნქციები. ასევე აღვნიშნე ყოვლად აუცილებელი საჭიროება იმისა, რომ, „არაბული გაზაფხულის“ შემდეგ, გაგრძელდეს ძალისხმევა საერთაშორისო კონვენციაზე, რომელიც განსაკუთრებით დაიცავს რელიგიურ უმცირესობებს, საკულტო ნაგებობებს, ეკლესიებსა და სინაგოგებს ჩრდილო აფრიკაში, ასევე სამარხებსა და არქი-

ვებს; მოვიყვანე სხვადასხვა მაგალითი იმისა, თუ რა გამალებით უტევენ და ანადგურებენ ქრისტიანულსა და ებრაულ რელიგიურ შენობა-ნაგებობებს. შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ იმ ვითარებაში, როცა ადამიანები დევნასა და შევიწროვებას განიცდიან, მეორე ხარისხოვანია საკულტო ნაგებობებათა გამო წუხილი. მაგრამ ასე როდია. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ეკლესიის განადგურება ქრისტიანული საკრებულოს სულის ჩაკვლას ნიშნავს, და ვინც ამას ცდილობს, ის პატივს არ სცემს ქრისტიანთა სიცოცხლეს. OSCE-ს არეში შემავალი მრავალი ქვეყანა მხარს უჭერს საერთაშორისო კონვენციის იდეას, რომელიც დაიცავს საკულტო შენობა-ნაგებობებსა და სამარხებს.

დღეს, განსაკუთრებით მსოფლიოს ჩრდილოეთ ქვეყნებში, იგრძნობა ტენდენცია, რომ რელიგიური ასპექტი გამორჩეულად ჩათვალონ კერძო ფაქტორად, აქედან გამომდინარე, რელიგიისადმი ლამის გაუცხოებული, ინდიფერენტული საზოგადოება ყალიბდება,... მაშინ როცა სხვაგან, კერძოდ, მსოფლიოს სამხრეთ ნაწილში, რელიგიას ღრმად სოციალურ, საჯარო და თვით პოლიტიკურ ასპექტად მიიჩნევენ. რა გზას უნდა დავადგეთ, იმისათვის რომ მსოფლიოში არსებობდეს პიროვნებასა და საზოგადოებას შორის პატივისცემა?



კონფერენცია მოსკოვში

ნება მომეცით, ისევ ბენედიქტე XVI-ის მოსაზრება გავიხსენო, ასიზში გაკეთებული მოხსენებიდან. თუკი რწმენა უარყოფს გონებას, იბადება ფუნდამენტალისტური ძალადობა. თუკი გონება უარყოფს რწმენას, გზა ეხსნება იდეოლოგიურ ძალადობას, რისი ტრაგიკული მაგალითების მომსწრენიც გავხდით XX ს-ში. მხოლოდ ამ „ორ ფრთას“ – რწმენასა და გონებას შორის წონასწორობის მიღწევით შეძლებს ადამიანი ფრენას, როგორც ამბობდა ნეტარი იოანე პავლე II-ე, და შეძლებს ძალადობის თავიდან აცილებას.

თუკი დღეს სიტყვა *პროზელიტიზმი* ცუდად ჟღერს სამყაროში, სადაც რეკლამა პიროვნების სოციალური ცხოვრების მრავალი ასპექტის სული და გულია, რა ფორმით უნდა გააცნოს რელიგიამ საკუთარი თავი იმას, ვინც მას არ იცნობს, ან ვისაც მისი შეცნობა სურს?

მჯერა, რომ უნდა განვასხვავოთ სიტყვა „პროზელიტიზმი“, რომელიც ისწრაფვის თავის სარწმუნოებაზე სხვების მოქცევისაკენ, აძაგებს სხვის რწმენას, ან პირდება მატერიალურ სარგებელს, იმ „მისიისგან“, რომელიც სრულიად ლეგიტიმურია, და სადაც რწმენის გადაცემა სხვისადმი პატივისცემით, ან ყოველგვარი უკანონო სტრატეგიის გარეშე ხორციელდება, როგორიცაა ფულის, ან გარკვეული სარგებლის შეთავაზება. სამწუხაროდ, როდესაც რამდენიმე ინდუსი ნაციონალისტი პროზელიტიზმის წინააღმდეგ კანონს ითხოვს, სინამდვილეში მათ მისიონერული საქმიანობის აკრძალვაც სურთ.

მრავალი მიიჩნევს, რომ ფუნდამენტალიზმი რელიგიის უკიდურესად ნეგატიური ასპექტია, სხვები კი თვლიან, რომ ის არის რომელიმე რელიგიის სარწმუნო ნიშანი. როგორ შეიძლება ამ დილემის გადალახვა ისე, რომ რელიგიამ არ დაკარგოს თავისი „გემო“ და ძალა?

გავიმეორებ და ვიტყვი, რომ დილემა გადაილახება გონების ძალისხმევით, რწმენასა და გონებას შორის ბალანსის მიღწევით და დიალოგის მეშვეობით – ეს არის პაპის, ბენედიქტე XVI-ის დიდი მისია: ბუნებრივია, გონების ძალისხმევა არაფერს აკლებს რწმენას, უფრო მეტიც, მას უფრო აძლიერებს.

რა შინაარსი დევს ევროპარლამენტის ძირითად რეზოლუციაში „რელიგიათა თავისუფლების დაცვის შუქზე ქრისტიანთა მდგომარეობის შესახებ“, რაც საბოლოო დოკუმენტში ჩაიდო? ხომ არ გეჩვენებათ, რომ რელიგიის და, კონკრეტულად ქრისტიანობის, წინააღმდეგ მიმართული ამ ფაქტების წინაშე ევროპა ნაკლებ ყურადღებას იჩენს, ზოგჯერ დაგვიანებით რეაგირებს, ხოლო თუ რაიმეს აკეთებს, აკეთებს ნაკლებ თავდაჯერებულობით?

დიახ, ამის მოწმენი ხშირად ვყოფილვართ. ყოველ შემთხვევაში, OSCE-ს საპარლამენტო ასამბლეამ ხმა მისცა საკმაოდ ძლიერ რეზოლუციას ქრისტიანთა დისკრიმინაციის წინააღმდეგ, რაც წევრ ქვეყნებს ავალებს, რომ დიპლომატიური მოლაპარაკებების დროს, მხედველობაში მიიღონ ქრისტიანთა დევნის ფაქტები, და ფხიზლად იყონ შეუწყნარებლობის ყოველ გამოვლინებაზე. მინისტრთა შეხვედრაზე ვილნიუსში, წმიდა საყდრის წარმომადგენელმა, მონსინიორ მამბერტიმ ისაუბრა „გამორჩეულ სამუშაოზე“, რომელიც წლევანდელ წელს OSCE-ს ეგიდით შესრულდა ამ სექტორზე, რაც მე, როგორც ამ მანდატის პასუხისმგებელს, მახარებს; ანუ, რაღაც უკვე იცვლება.

რომში, 2011 წლის 12 სექტემბერს შედგა OSCE-ს წევრების შეხვედრა თემაზე: „პრევენცია და პასუხი ქრისტიანთა წინააღმდეგ გამოჩენილი შუღლისა და კრიმინალური ინცინდენტების მიმართ“. რისი თქმა შეიძლება კონკრეტულად ამასთან დაკავშირებით?

მე თავად ვისურვე ეს შეხვედრა, რაც OSCE-ში ჩემი საქმიანობის ცენტრალური ნაწილია. მაღალი დონის შეხვედრათა შორის, მინდა გავიხსენო მიტროპოლიტ ილარიონისა და მონსინიორ მამბერტის შეხვედრა; ძალზე მნიშვნელოვანია, რომ კონფერენცია შედგა და პირველად წამოიწია ქრისტიანოფობიის და ქრისტიანთა წინააღმდეგ მიმართული კრიმინალის თემატიკამ, როგორც იურიდიულმა კატეგორიამ, რაც საერთაშორისო დონეზე უნდა იყოს აღიარებული.

ქრისტიანთა უფლებებისა და რელიგიათა შორის მშვიდობის უზრუნველსაყოფად, მონაწილეებმა გამოხატეს სხვადასხვა რელიგიებს შორის დიალოგის აუცილებლობის სურვილი, რისი შედეგებიც კარგ ნიადაგს ქმნის ტრადიციული რელიგიების მორწმუნეთა დასაახლოებლად; ასეთივე აუცილებლობად ხომ არ გესახებათ, რომ ქრისტიანებმა გააძლიერონ ერთმანეთს შორის პატივისცემა და დიალოგი, მით უფრო, ამ ეტაპზე, როცა, ერთი შეხედვით, ეკუმენური მოძრაობა ნელი ნაბიჯებით მიიწევს წინ? აქ მახსენდება საქართველოში შექმნილი ვითარება, სადაც უფრო ადვილია, მაგალითად, შეხვედრის

▶ 22 ᲒᲒ.

რომის პაპი საქართველოში კონფესიების რეგისტრაციის შესახებ

9 იანვარს, ვატიკანში, რომის პაპმა ბენედიქტე მეთექვსმეტემ მიმართა ვატიკანის დიპლომატიურ კორპუსს და მთელ მსოფლიოში კათოლიკე ეკლესიისა და, ზოგადად, ქრისტიანების წინაშე არსებულ გამოწვევებზე ისაუბრა. მან ყურადღება გაამახვილა პოზიტიურ სიახლეებზეც და საგანგებოდ აღნიშნა საქართველოში კონფესიების რეგისტრაციის წესთან დაკავშირებული ცვლილების შესახებ, რომლის შედეგად რელიგიურ გაერთიანებებს საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დარეგისტრირების შესაძლებლობა მიეცათ.

ნაწყვეტი რომის პაპის, ბენედიქტე XVI–ის მიმართვიდან : „ბევრ ქვეყანაში ქრისტიანებს წართმეული აქვთ ფუნდამენტური უფლებები და ჩამოცილებულნი არიან საზოგადოებრივ ცხოვრებას; ზოგიერთ ქვეყანაში კი ისინი თავიანთ ეკლესიებსა და სახლებზე ძალადობრივ თავდასხმებს განიცდიან. ზოგჯერ ისინი იძულებული არიან, დატოვონ ქვეყნები, რომელთა აღმშენებლობაში წვლილი მიუძღვით, მუდმივი დაძაბულობისა და იმ პოლიტიკის გამო, რომელმაც ისინი ქვეყნის ცხოვრებაში მეორეხარისხოვან დამკვირვებლებად აქცია. მსოფლიოს სხვა ნაწილებში ჩვენ ვხედავთ პოლიტიკას, რომელიც საზოგადოების ცხოვრებაში რელიგიის როლის მარგინალიზაციისკენ არის მიმართული, თითქოს რელიგია არის არატოლერანტობის მიზეზი და არა ღირებული შენატანი განათლებაში, ადამიანის ღირსების, სამართლიანობის და მშვიდობის საქმეში. რელიგიურად მოტივირებულ ტერორიზმს წარსულში ასევე მოჰყვა მსხვერპლი, განსაკუთრებით აზიასა და აფრიკაში; ამასთან დაკავშირებით (...) რელიგიურმა ლიდერებმა კიდევ ერთხელ მკაფიოდ უნდა განაცხადონ, რომ „ეს არ არის რელიგიის რეალური ბუნება. ეს რელიგიის ანტითეზისია, რაც ხელს უწყობს ნგრევას“. რელიგია არ შეიძლება გამოყენებული იყოს სამართლის ნორმების და კანონების უგულებელყოფისათვის აღთქმული „სიკეთის“ სახელით. ამ კონტექსტში მე სიამაყით გავიმეორებ იმას, რაც ვთქვი ჩემს მშობლიურ ქვეყანაში: რომ ადამიანის ქრისტიანული ხედვა იყო გერმანიის ძირითადი კანონის შემქმნელთა ჭეშმარიტი შთაგონების წყარო, ისევე როგორც ეს გაერთიანებული ევროპის შემთხვევაში მოხდა. **მე ასევე მინდა მოვუხმო რელიგიური თავისუფლების კუთხით გადადგმულ რამდენიმე დამაიმედებელ მაგალითს. ვგულისხმობ საქართველოში განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებს, რომლითაც რელიგიური უმცირესობები საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად აღიარეს** (...)“

პაპი თავის გამოსვლაში ასევე მიესალმა აზერბაიჯანში სახელმწიფოსა და კათოლიკურ ეკლესიას შორის გაფორმებულ შეთანხმებას და იმედი გამოთქვა, რომ მონტენეგროსა და მოზამბიკთან მსგავს შეთანხმებებზე მოლაპარაკებები მალე წარმატებით დასრულდება.

ქრისტიანთა დევნისა და დისკრიმინაციის პრობლემა

◀ *21 ბბ.*

ორგანიზება ისლამის წარმომდგენლებთან, ვიდრე კათოლიკეებთან.

დიახ, ასეა. მაგრამ, ეკუმენური თვალსაზრისით, მინდა, უფრო მეტად ყურადღება გავამახვილო იმ წვლილზე, რაც, რუსეთიდან დაწყებული, სხვა დენომინაციის ქრისტიანთა დისკრიმინაციის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიებში მიუძღვით მართლმადიდებლურ ქვეყნებს, და იმ დახმარებაზე, რომელიც გამიწიეს OSCE-ში მუშაობისას. ეს საიმედო ნიშანია.

როგორ უყურებთ ამ შეხვედრებზე კათოლიკე ეკლესიის წარმომადგენლობის – ნუნცი, ადგილობრივი ეპისკოპოსები, ორგანიზაციები, კათოლიკური მოძრაობები და მორწმუნეები – მონაწილეობას?

მათი მონაწილეობა გადამწყვეტია. ხშირად წმიდა საყდარი მარტო ახერხებს, ამგვარ შეხვედრებს გარკვეული ტონუსი მისცეს. OSCE-ში ჩემი მუშაობის დროს, ნათლად დავინახე, რომ წმინდა საყდარი ყველაზე მეტადაა დაფასებული მსოფლიოში, თავისი უმაღლესი დიპლომატიის გამო.

თქვენი გამოცდილებიდან გამომდინარე, ზოგადად, რაში ხედავთ კათოლიკე და მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის კავშირის გზებს? დასავლეთ ევროპაში გადმოსული მრავალი მართლმადიდებელი შეძლებს, რომ თავიდან აღმოაჩინოს „ქრისტიანული ფესვები“?

ალბათ, კი. ვიცით, რომ ჯერ კიდევ არსებობს ერთმანეთზე არასწორი შეხედულებები. ქრისტიანთა დისკრიმინაციისა და მარგინალიზაციის გვერდით, დღითიდღე ძლიერდება ურთიერთთანამშრომლობა ყველა სექტორზე, რაშიც, მაგალითად, იტალიაში, აქტიურად არიან ჩაბმული მართლმადიდებელი ემიგრანტები, განსაკუთრებით რუმინელები.

როგორ რეაგირებს ახალი თაობა ძალადობის ფაქტებსა და რელიგიათა შორის გარდაუვალი დიალოგის აუცილებლობაზე?

რელიგიის მიმართ ახალგაზრდები დიდ ინტერესს იჩენენ. სამწუხაროდ, დასავლეთის მრავალ ქვეყანაში სასკოლო პროგრამებიდან რელიგიის გამიჯვნას ახერხებენ და მის მიმართ ინტერესს კლავენ. ამ სფეროშიც ბევრი რამ არის შესაცვლელი.

ფერტილურობის ბუნებრივი რეგულირება

ფერტილურობის რეგულირება ქიმიური საშუალებების გვერდის ავლით რეალური ალტერნატივაა და მოკლებულია გვერდით ეფექტებს. ამ წიგნში ძალზე მარტივი ფორმით და ამომწურავად არის წარმოდგენილი ფერტილურობის სიმპტომებისა და ნიშნების თვითდაკვირვება, რასაც ქალი თავად დააკვირდება და შეძლებს იოლად და ზუსტად დაადგინოს ნაყოფიერი და სტერილური პერიოდები ორსულობის მიღწევისა თუ თავიდან აცილების მიზნით.

მსოფლიოში მრავალი ქალი იყენებს ი. როცერის მეთოდს. წიგნი თარგმნილია 17 ენაზე.

წიგნის ავტორია ავსტრიელი პროფესორი იოსეფ როცერი. მან პირველმა შეისწავლა და შეადგინა ფერტილურობის ბუნებრივი რეგულირების მეთოდი.

წიგნი ქართულად თარგმნა ქალბატონმა ლალი ჩარკვიანმა

(წიგნის შეძენის მსურველებმა მიმართეთ ქ-ნ თამრიკოს ტელ: 593 96 86 35)



განუსვენე მათ, უფალო!

თამარ გალახაშვილი
* 03.06.1926 – უდე
† 12.11.2011 – უდე



ანტონ თათოშვილი
* 09.09.1925 – უდე
† 27.11.2011 – უდე



პეტრე ჯანაშვილი
* ? – ვალე
† 13.01.2012 – ვალე



ვანო (ვალერი) ჩიტაშვილი
* 14.01.1940 – ვალე
† 13.01.2012 – ვალე



გიორგი (გიგლა) ჩიტაშვილი
* 08.01,1932 – ვალე
† 13.01.2012 – ვალე

მანანა (მარიამ) გოზალიშვილი
* 20.02.1950 – ვალე
† 23.12.2011 – ვალე

გიორგი ტარზანიანი
* 20.07.1927–
უჯმანა (ნინოწმიდა)
† 12.01.2012 –სოფ. აბასთუმანი

მაყვალა ჩილინგარაშვილი
* 12.03.1945– არალი
† 09.01.2012 – არალი

სარჩევი

რედაქციის გვერდი 2
კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში 3
კათოლიკე ეკლესია საქართველოში 5
სნეულთა დღე.....10
რაითა ყოველნი ერთ იყვნენ.....13
მიხეილ თამარაშვილის საიუბილეო წელი.....15
ქრისტიანული ოჯახი.....17
ასწავლე და ისწავლე 18
ინტერვიუ.....19
ინფორმაცია 22
საგანგებო ჩანართი .....I-IV

რედაქცია:

მამა გაბრიელე ბრაგანტინი
ნუგზარ ბარდაველიძე
ნატო ბიგვავა
ვერიკო ნოზაძე
მერაბ ღაღანიძე
ზაზა შათირიშვილი
ციცინო ხითარიშვილი

მისამართი:

თბილისი, გია აბესაძის ქ. №4
ტელ.: 298-95-16
რეგისტრაციის № 1853
დაარსდა 1994 წ.
მანანა ანდრიაძის მიერ

© „საბა“, 2012

ვალეს საკრებულო

გორის საკრებულო

არლის ახალგაზრდები შიომღვიმეში

სხვადასხვა ეკლესიების
წარმომადგენლებმა არ უნდა
განვიკითხოთ ერთმანეთი

ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო

ლოცვა ქრისტიანთა ერთობისათვის (თბილისი)